

საქართველოს საპატრიარქოს ა(ა)იპ წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი



სამართალმცოდნეობისა და
საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

ჯუნა გუჩმანიძე

საჯარო გამოსვლის ხელოვნება

*სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართალმცოდნეობისა და საჯარო
მმართველობის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად*

ხელმძღვანელი: ნესტან მამუჭაძე - ასოცირებული პროფესორი

ხიჭაური
2019

ანოტაცია

საჯარო გამოსვლა უძველესი დროიდან ხელოვნებად იყო ქცეული, ადამიანებს სპეციალურად ამზადებდნენ და ასწავლიდნენ პუბლიკაზე ზემოქმედებას სიტყვების მეშვეობით. იმდენად მნიშვნელოვანი იყო მასაზე ზეგავლენის მოხდენა, რომ პიროვნება სწორედ ამით ფასდებოდა. ამ ყველაფერს ცხადია ორატორული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი ახერხებდა.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა სიტყვა და მისი მნიშვნელობა, საბოლოოდ მივედით იქამდე, რომ დღეს საჯარო გამოსვლა უბრალოდ საკუთარი აზრის საზოგადოებისთვის გაცნობაა და არავინ ელოდება უკუკავშირს. დიდი შოთა რუსთაველი წერდა: „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“. „სიტყვის თქმის უამი იცოდეს“, - ვკითხულობთ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში“.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება 6 თავისაგან, რომელიც დაყოფილია ქვეთავებად. მას მოსდევს დასკვნა, მეტი სიცხადისთვის - დანართი და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა. ჩვენი ინტერესი კონკრეტული თემისადმი დღევანდელმა რეალობამ და მომავლის პერსპექტივებმა განაპირობებოდა. სამაგისტრო ნაშრომში საკვლევ თემასთან მიმართებაში განვიხილავთ ისტორიულ წარსულსა და აწმყოს, ვსაუბრობთ მიზეზ-შედეგობრივ ანალიზზე.

თემას თან ერთვის კვლევა, რომლის საშუალებითაც რესპოდენტებს მიეცათ საშუალება პოზიცია დაეფიქსირებინათ. ჩვენი მიზანი კი შედეგების სისტემური ანალიზი და პრობლემის გამოსავლის გზების ძიებაა. შედეგმა ცხადყო, რომ საკითხი თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემათაგანია.

Annotation

The public speech has been art since ancient times, designed specifically for people to each and influence the publication through words. It was so important that it was influenced by the fact that person was so precise. All of this is obviously a man with an octagonal talent.

Together with the development of the word and its significance, we finally went to the public speech just to get acquainted with the public opinion and no one is waiting for feedback. Big Shota Rustaveli wrote: “sometimes it’s better to say no, but sometimes even hurt him”. “To know the time to speak”, says Sulkhan-Saba Orbeliani’s “Wisdom in Lies”.

Master’s thesis consists of 6 chapters that are divided into subheadings. It follows the conclusion, for more clarity-annex and list of used literature. Our interest in today’s reality and future prospects for a specific topic. In the course of Master’s Study, we will discuss the historical past and the present, and discuss the cause-analysis analysis.

The topic is accompanied by a survey that allows respondents to have the opportunity to express their position. Our goal is to analyze the results of systematic analysis and search for ways to solve the problem. The results showed that the issue is one of the top issues of modernity.

სარჩევი

შესავალი	5
თავი I. საჯარო გამოსვლის ისტორიული რაკურსი, პირველი გამომსვლელები	7
1.1 სფეროს ისტორიული განვითარება და მისი მოკლე მიმოხილვა, ანტიკური ეპოქის რიტორიკული ტრადიცია.....	8
1.2 ძველ ბერძნული პერიოდი.....	9
1.3 რომაული პერიოდი.....	13
1.4 მეოცე საუკუნისა და თანამედროვე რიტორიკა.....	15
თავი II. ორატორული ხელოვნება	
2.1 ორატორული ხელოვნების საგანი და ამოცანები.....	17
2.2 ორატორული ხელოვნებისა და ზოგადი რიტორიკის ძირითადი თავისებურებანი; ზოგადი რიტორიკის საგანი.....	19
2.3 ზოგადი რიტორიკის ოთხი კანონი.....	21
2.4 ძირითადი რიტორიკული კანონი.....	24
თავი III. სიტყვის ხელოვნების ფუნქციური არსი	
3.1 მჭევრმეტყველება და მისი მნიშვნელობა	25
3.2 ორატორული ხელოვნების ქართული ტერმინოლოგიისათვის	28
3.3 ქართული ორატორული ხელოვნების დარგები.....	30
3.4 მეტყველების კულტურა.....	32
თავი IV. საჯარო გამოსვლა, საჯარო გამოსვლის დაგეგმვისა და მომზადების პროცესის თავისებურებები	39
თავი V. აუდიტორია	
5.1. აუდიტორიის მართვისა და გაძღოლის ტექნოლოგიები.....	42
5.2 საჯარო გამოსვლის ტექსტი, საჯარო ტექსტის შინაარსობრივ ელემტთა სისტემა	46
პატრიარქის ქადაგება.....	48
თავი VI. სოციალური კვლევა	51
დასკვნა.....	62
დანართი.....	63
გამოყენებული ლიტერატურა.....	74

შესავალი

თანამედროვე საზოგადოება მუდმივად ვითარდება, ჩნდება ახალი ტენდენციები, ძველი ახალ სახეს იღებს და ისევ უბრუნდება ანმყოს, საზოგადოებაც რა თქმა უნდა ცდილობს არ ჩამორჩეს დროის დინებას და მკაცრად იმკვიდრებენ ადგილს ამ სამყაროში. რთულია იყო საზოგადოებისთვის ყოველმხრივ მისაღები და გამორჩეული. ჩვენი სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს იმ ადამიანებს, რომლებიც გამორჩეული ლიდერის თვისებებით არიან დაჯილდოებულნი. საჯარო გამოსვლა სწორედ, რომ ხელოვნებაა, სიტყვით გამოსვლა უბრალოდ სიტყვებით თამაში როდია, ეს არის ტექსტი ნიჭიერი ადამიანის წარდგინებით.

დღეს რთულია დაასახელო საჯარო სივრცეში ადამიანი, რომელიც სიტყვას გამართულად, სიძულვილის გარეშე და გასაგებად ამბობს. ისინი არ ფიქრობენ, რომ საზოგადოება მათგან ელის ახალს და საინტერესოს, გასაგებს და საჭიროს. არ ფლობენ სიტყვის ხელოვნებას, არ ცდილობენ გამოიყენონ ხერხები, რაც პუბლიკის ყურადღებას მიიპყრობს.

თემის აქტუალობა. იქედან გამომდინარე, რომ დღეს „კრიზისია“ სიტყვის მართებულობის, სიტყვის თქმის „დროსა და უამის“, სიტყვით გამოსვლის ხელოვნების, მნიშვნელოვანია ამ თემაზე საუბარი და საზოგადოების აზრის გაგება, თუ რას ფიქრობენ და როგორ საჯარო გამომსვლელს ელიან ისინი. თემა აუცილებლად აქტუალური და პუბლიკაზე მორგებული უნდა იყოს თანამედროვეობასთან მიმართებაში. სწორედ ამას განვიხილავთ ნაშრომში.

მიზნები. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია შევადაროთ როგორ აღიქვამდნენ ძველად საჯარო გამოსვლას და როგორ უდგებიან ამ საკითხს დღეს, რას ფიქრობს საზოგადოება - უნდა იყენებდნენ გამომსვლელები ორატორულ ნიჭსა და ხერხებს თუ უბრალოდ გამოდიოდნენ და საუბრობდნენ. რამდენად იყენებს საჯარო მოხელეები არისტოტელესეულ ორატორულ ხელოვნებას და ითვალისწინებენ თუ არა პუბლიკის შემადგენლობას, განათლებასა და სოციალურ დონეს.

ნაშრომში წარმოდგენილია სოციალური კვლევა, რომლის საგანს წარმოადგენს საჯარო გამოსვლის ხელოვნება, თუ ვინ იყვნენ, ვინ არიან საუკეთესო გამომსვლელები და რა ტექნიკას უნდა ფლობდნენ გამოსვლის დროს.

კვლევისთვის გამოყენებული მეთოდები. სამაგისტრო ნაშრომის შექმნაში გამოყენებულია ქართველ და უცხოელ მეცნიერ-მკვლევართა მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები, ინტერნეტ მასალები და ა.შ. ხოლო ძირითადი დასკვნები გამოტანილია სოციალური კვლევის ანალიზის საფუძველზე. უშუალოდ ჩვენ მიერ ჩატარებული მეთოდი სოციალური კვლევა, რომელიც სოციალური ქსელის საშუალებით განვახორციელეთ.

თემის სტრუქტურა. სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 75 გვერდს რომელიც შედგება VI თავისა და დასკვნისგან. თემას თან ერთვის კვლევა, დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურა.

თავი პირველი

საჯარო გამოსვლის ისტორიული რაკურსი

პირველი გამომსვლელები

- პლატონი - ბერძენი ფილოსოფოსი
- სოკრატე - პირველი ათენელი ფილოსოფოსი
- მარკუს ტულიუს ციცერონი - რომაელი პოლიტიკოსი, ადვოკატი და პოლიტიკური მოაზროვნე, ძველი რომის ყველაზე სახელგანთქმული ორატორი და კონსული.
- გაიუს იულიუს კეისარი - ძველი რომის ერთ-ერთი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი, რეფორმატორი, მწერალი და ორატორი.
- დემოსთენე - ძველი ათენის სახელმწიფო მოღვაწე და უდიდესი ორატორი
- თემისტოკოსი - დიდი ძველბერძენი ფილოსოფი და სწავლული.
- პერიკლე - ათენის პოლიტიკური მოღვაწე. დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, ცნობილი ორატორი და სარდალი.
- მარკუს ფაბიუს კვინტილიანე - დიდი რომაელი, მჭევრმეტყველების დიდებული პედაგოგი.

1.1 სფეროს ისტორიული განვითარება და მისი მოკლე მიმოხილვა

ანტიკური ეპოქის რიტორიკული ტრადიცია

რიტორიკა (ბერძნ. ῥητορικὴ(τέχνη) „მეტყველების, სიტყვის ხელოვნება“) – მჭევრმეტყველების ხელოვნება - თავდაპირველად იყო მეცნიერება ორატორობის ხელოვნების შესახებ. რიტორიკა ანტიკურ საბერძნეთში ძალიან ცნობილი დისციპლინა იყო, რომლის ფლობაც ყველას უნდა შესძლებოდა. რიტორიკა არის ზეპირი მეტყველების სტილი, თუმცა დღეს წერილობითშიცაა გადატანილი. ფართო გაგებით, ის გულისხმობს მჭევრმეტყველებას ანუ ორატორულ ხელოვნებასაც. რიტორიკა ძველ საბერძნეთში ჩამოყალიბდა, როგორც ხატოვანი შთამბეჭდავი მეტყველების ხელოვნება; და მისი ხერხების ფლობა მიიჩნეოდა პიროვნული სრულყოფილების ერთ-ერთ გამოხატულებად. ეტაპობრივად კი ბერძნულ-რომაულ სამყაროში ჩამოყალიბდა რიტორიკის ორი განსხვავებული გაგება: ერთი არისტოტელესა და მის მიერ დაფუძნებული სკოლის პერიფათეტიკოს მონაფეებს ეკუთვნით, რომელთა მიხედვითაც, რიტორიკა მიჩნეული აქვთ დარწმუნების მეცნიერებად; მეორე თვალაზრისი კი ეკუთვნის ფაბიუს კვინტილიანეს და მის მიმდევრებს, ვისთვისაც რიტორიკის დაუფლებისთვის ყველაზე უფრო მთავარი არის სწორად მეტყველების ხელოვნება ანუ მჭევრმეტყველება.

ამ ორი მოსაზრებიდან გამომდინარე, ფაქტია რომ კარგი ორატორისთვის ორივე გადამწყვეტი და საჭიროა, რადგან თუ ორატორს არ შეუძლია აუდიტორიის დარწმუნება, ის რა თქმა უნდა ვერც მიაღწევს სასურველ შედეგს და თუ კი ვერ მეტყველებს სწორად, და ვერ იყენებს საჭირო დროს საჭირო სიტყვებსა და მიმიკებს, ვერ იქნება კარგი ორატორი, აუდიტორიასაც მობეზრდება მოსმენა და საჯარო გამომსვლელი მართო აღმოჩნდება ტრიბუნის წინ. ამდენად, ორივე მოსაზრება გასათვალისწინებელია ორატორად ჩამოყალიბებისთვის.

კლასიკური ანტიკური რიტორიკა შედგება ხუთი ნაწილისაგან:

- ❖ მემორია - დამახსოვრება ანუ დანერვილი ტექსტის დაზვიერება;
- ❖ ინვენტიო - „გამოგონება“, ანუ იმის მოძებნა, თუ რა უნდა ითქვას;
- ❖ დისპოსიტიო - „გეგმა ანუ არგუმენტების თანმიმდევრულად დალაგება“;
- ❖ ელოკუტიო - სიტყვიერად გამოხატვის უზრუნველყოფა;
- ❖ აქტიო - „გათამაშება“ (აუდიტორიის წინაშე დეკლამირება).

ძველ დროში განსაკუთრებით ანიჭებდნენ უპირატესობას იმ პიროვნებას, რომელსაც სხვებზე მეტად შეეძლო ხალხზე ზეგავლენის მოხდენა თავისი საჯარო გამოსვლით, რადგან სიტყვას შეეძლო მათთვის მოეპოვებინა ხალხის ნდობა და გამარჯვება. მას შემდეგ, რაც მართვა ხალხის ხელში გადადიოდა და მთავარ ძალას საზოგადოება წარმოადგენდა ეს ფაქტი უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა, ამიტომ საჭირო იყო, რომ პოლიტიკოსი ან მხედართმთავარი ისე გამოსულიყო სიტყვით, რომ ხალხის ნდობა მოეპოვებინა. საჯარო გამოსვლა და ხალხის წინაშე თამამად საუბარი ხელოვნებააა აღიარებული, რადგან ყველა ადამიანს არ აქვს უნარი ილაპარაკოს დამაჯერებლად, გარკვევით, მიმიკებით, რომელიც შეესაბამება ტექსტს და ამ ყველაფრით მოხიბლოს საზოგადოება. დემოსთენეს ხომ იმისთვის განმარტოვდა, რომ ამ ხელოვნებას დაუფლებოდა, დიახ შესაძლებელია ეს უნარი ადამიანს თანდაყოლილი ჰქონდეს ან ბევრი შრომის შედეგად შეიძინოს.

1.2 ძველ ბერძნული პერიოდი

ძვ. წ. აღ. V ს.-დან დიდი კულტურული მოვლენები ხორციელდებოდა იმდროინდელი საბერძნეთის საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში. მართვა-გამგეობა ხალხის ხელში გადავიდა. ამ პოლიტიკურმა ცვლილებამ ახალი ასპარეზი გაუშალა პიროვნებას. ამიერიდან ადამიანი ფასდებოდა არა მისი გვაროვნული წარმომავლობის მიხედვით, არამედ მისი შესაძლებლობებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმათ, ვისაც შეეძლო სახალხო კრებებზე გამოსვლით საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა. ასეთ დროს კი, მჭევრმეტყველებას უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ენიჭებოდა. ამ მდგომარეობამ საკმაოდ შეცვალა სწავლა-განათლების დანიშნულებაც, რომელიც მჭევრმეტყველური ზემოქმედების მასობრივი შთაბეჭდილების მოხდენის მეთოდებზე და პრინციპებზე დაფუძნდა.

თავდაპირველად, ძვ. წ. VI ს.-მდე, ბერძნული სწავლა-განათლების შინაარსობრივი სტრუქტურა მეტად მარტივი იყო და ასეთი სწავლება არ იყო საკმარისი რიტორიკული მჭევრმეტყველებისათვის. მჭევრმეტყველების, ორატორული ხელოვნების წესებისა და კანონების შესახებ მოძღვრება წარმოიშვა ძველ საბერძნეთში, ჯერ კიდევ ანტიკური კულტურის დაცემამდე, ძველი წ. აღ-ის მე-5 საუკუნეში, როგორც მჭევრმეტყველების თეორია, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდა ძვ. წ. აღ-ის მე-3 მე-2 სს-ში. რიტორიკის პირველი სახელმძღვანელო ჩვენამდე არ მოღწეულა, ის დაწერილი უნდა ყოფილიყო ძვ. წ. აღ-ის მე-5 ს-ში; ავტორებად კი მიჩნეულნი არიან სირაკუზელი ბერძნები კორაკსი და ტესია. როდესაც ორატორობამ ფართო მოთხოვნილება შეიძინა და პიროვნული სრულყოფილების მაჩვენებლად იქცა, ძველებური გზა ცოდნის შეძენისა, უკვე საკმარისი აღარ იყო. საზოგადოებაში გაჩნდა განსხვავებული ტიპის მოაზროვნე, რომელიც თანხმა იყო, საკუთარი ცოდნა და გამოცდილება თემისების სახით სხვისთვისაც გაეზიარებინა სასყიდელის სანაცვლოდ. ასეთი ტიპის მოღვაწეებს ანუ მასწავლებლებს უწოდეს სოფისტები, რომლებსაც ყოვლისმცოდნეობისა და სიბრძნის პრეტენზიები ჰქონდათ. სოფისტები გამოირჩეოდნენ სხვადასგვარი ორიგინალური ხერხებითა და მახვილგონივრულობით. მათ შეიმუშავეს ენობრივი გამოსახულების თეორიული კვლევის ამოცანა, რათა უკეთ გარკვეულიყვნენ ურთულესი სააზროვნო მექანიზმებისა და ოპერაციების შინაგან სტრუქტურებსა და სისტემაში. აქედან გამომდინარე მათ დაიმსახურეს ანტიკური პერიოდის განმანათლებელთა საპატიო სახელი. მათ ხელში ენა

იქცა ეფექტურ იარაღად, სხვადასხვა სახის მიზანთა მისაღწევად, კერძოდ კი, პოლიტიკურ დებატებში წარმატების მოსაპოვებლად. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა სწორი მეტყველების დაუფლებას, ენის მუდმივ გაუმჯობესებასა და სიტყვიერ კამათში მის მოქნილ იარაღად გამოყენას. ამ მიზნით სოფისტებმა განავითარეს ცოდნის ახალი დარგი - რიტორიკა. ახლა უკვე ყურადღების ცენტრმა რიტორიკაზე გადაინაცვლა. სოფისტების მთელი აზროვნება ემსახურებოდა მიზანს, რაც მასებზე გავლენის მოხდენით განისაზღვრებოდა. სოფისტები ასწავლიდნენ ყველაფერს, რაც საჭირო და აუცილებელი იყო გამართული მეტყველებისთვის, ასევე მშთამბეჭდავი აზრების უხვად გადმოფრქვევისათვის. კამათის გონივრულად წარმართვა და საჯარო პაექრობაში წარმატების მიღწევა იყო აუცილებელი და გადამწყვეტი პირობა, იმისათვის, რომ მოსწავლეზე დახარჯული დრო და მეთოდოლოგია სათანადოდ შეფასებულიყო და ამავე დროს დაფასებულიყო. სოფისტებს მჭევრმეტყველება აინტერესებდათ ძირითადად, პრაქტიკული თვალსაზრისით. ადამიანი რომ მჭევრმეტყველად ექციათ უმთავრესი იყო, უპირველესად, რიტორიკის ამოსავალი პრინციპების თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბება, რის მერეც მოსახერხებელი ხდებოდა პრაქტიკულ სწავლებაზე გადასვლა სპეციალური ვარჯიშების კურსის საშუალებით.

ანტიკური საბერძნეთი ცნობილი იყო ღირშესანიშნაობებით, მათ შორის გონებამახვილი ორატორებით, რომელთაგან სოკრატეს, პლატონისა და სოფისტების გარდა, შეგვიძლია დავასახელოთ სოლონი, პერიკლე, დემადე, ფოკიონი, ანტისტენე, ესქინე და ყველასგან გამორჩეული დემოსთენე. სოკრატე და პლატონი, რიტორიკის მთავარ მახასიათებლად მიიჩნევდნენ დიალოგის დიალექტიკური მეთოდის გამოყენებას, რადგანაც დიალოგი, მეტყველების იმგვარი ფორმაა, რომელიც კარგად გამოხატავს აქტიური აზროვნების პროცესს და უფრო მოქნილი მეტყველებაა თავისი ბუნებრივი მდგომარეობით. სოკრატეს შეეძლო ჩაეგდო ადამიანი თავის თავთან სრულ წინააღმდეგობაში და მიეყვანა ის მანამდე უცნობ ფაქტებამდე. სოკრატეს დიალოგები იყო რალაცნაირი ირონიაც. მას შეეძლო საუბრის დაწყება მარტივი, მაგრამ წინასწარ მოფიქრებული კითხვების მეშვეობით, რის შედეგადაც იმართებოდა დიალოგი. სოკრატეს ირონია (თვითირონია) – „მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“ - იყო მისეული რიტორიკის გამოვლენის ორიგინალურად დახვეწილი ფორმა. [ს.დანელია, თბილისი 1983, გვ.261]

„არ შეიძლება გვერდი ავუაროთ დემოსთენეს, რომელიც სხვა ბერძენ ორატორთა მსგავსად, საგანგებოდ წარმოსათქმელ სიტყვებს წინასწარ წერდა. სწორედ ამიტომ, ჩვენამდე მოაღწია არაერთი სახელგანთქმული ორატორის ფასდაუდებელმა სიტყვამ, რომელთა შორის გამოირჩევა დემოსთენეს „ფილიპიკები“. მართალია აღქმის პროცესში, ის ჩვენზე ვერ მოახდენს იმ შთაბეჭდილებას, რასაც მაშინდელი დროის მსმენელებზე, თავისი ცოცხალი გამომეტყველებით, მიმიკებით, უესტიკულაციებით, ხმის ტემბრით, მრავლისმთქმელი პაუზებით, ირონიით, იუმორით, ადექვატური რეაქციებით გამოთქმული რეპლიკების მიმართ და სხვა, თუმცა ჰერმენევტიკულ-ინტენციონალური მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც ეპოქის სულისკვეთების წვდომის ნახევრად მისტიკურ, ინტუიციურ ძალისხმევას ითვალისწინებს, სავსებით შესაძლებელია იმ გრანდიოზული განცდის გამოწვევა, რაც ნაცნობი და ახლობელია მაშინდელი ადამიანისთვის“. [დემოსთენე 1984; გვ.17] [ფორჩხიძე, 2018, გვ.43]

რაც შეეხება არისტოტელეს, თავის „რიტორიკაში“ ეხება ესთეტიკის, ეთიკის, პოლიტიკის, ფსიქოლოგიის საკითხებს და თითქმის ყველა სფეროში ახალ სიტყვას ამბობს. ზოგიერთი მკვლევარი უარყოფს არისტოტელეს დამსახურებას რიტორიკული ხელოვნების განვითარების საქმეში. ისინი ფიქრობენ, რომ არისტოტელეს მჭევრმეტყველება ესმოდა როგორც კამათი და კამათში ნებსიმიერი ხერხით გამარჯვების ხელოვნებად. მათ წინააღმდეგ კ.კრაუსი ამტკიცებდა, რომ „არისტოტელესათვის რიტორიკა იყო ეთიკურ-პოლიტიკური იარაღი მიმართული სამართლიანობის, სარგებლობისა და ზნეობისაკენ“. [ფორჩხიძე, 2018, გვ.43]

„არისტოტელეს „რიტორიკა“ სამი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში განიხილავს რიტორიკის, ანუ ორატორული ხელოვნების პრობლემატიკას; მეორე ნაწილში, ძირითადად ეთიკური პრობლემებია განხილული; მესამე ნაწილში - სტილი“. [არისტოტელე, რიტორიკა, 1981 გვ.18]

არისტოტელე რიტორიკის დასაწყისშივე ამახვილებს ყურადღებას რიტორიკისა და დიალექტიკის (სიტყვა „დიალექტიკას“ არისტოტელე აქ ხმარობს „ფილოსოფიის“ მნიშვნელობით) მიმართების საკითხზე. არისტოტელეს დაკვირვებით, „დიალექტიკა რიტორიკას ჰგავს, რადგან ორივე ეხება ისეთ საგნებს, რაც რატომღაც იცის ყველამ და

რასაც არ სწავლობს რომელიმე ერთი მეცნიერება“, „რიტორიკა არის ხელოვნება, რომელსაც განსაზღვრული ობიექტი არაქვს, ისევე როგორც დიალექტიკას“. [არისტოტელე, რიტორიკა, 1981 გვ.19].

„აქედან გამომდინარე, რიტორიკა არ წარმოადგენს რაიმე მეცნიერებას, არამედ ის სიტყვის ხელოვნებაა. არისტოტელეს აზრით, რიტორიკულ სიტყვას აქვს სამი ნაწილი: შესავალი, შინაარსი და დასკვნა. მან გამოყო აგრეთვე რიტორიკული სიტყვის სამი მხარე: ორატორი; ის საგანი, რის შესახებაც ორატორი საუბრობს; ის, ვისაც სიტყვით მიმართავს ანუ მსმენელი. არისტოტელე სპეციალურად ჩერდება სიტყვის სიცივის მიზეზებზე, რასაც წარმოშობს: რთული ან შერწყმული სიტყვების ხმარება, უჩვეულო, გაუგებარი სიტყვებისა და სხვადასხვა მხატვრული ხერხის უმართებულო გამოყენება იგი წინააღმდეგია მრავალსიტყვაობისა და სიტყვათა უწყვეტობისა. სიტყვა იქ უნდა თავდებოდეს, სადაც თავდება საგნის შესახებ მსჯელობა. კარგია პერიოდებად დანაწევრებული დასრულებული აზრის შემცველი სიტყვა, არ ვარგა არც მოკლე და არც ვრცელი პერიოდები. ვარგისია მხოლოდ მიზანშეწონილი. ზეპირი სიტყვა, სადაც აქტიორული და პათეტური მომენტები ჭარბობს, წერილობითთან შედარებით ნაკლებ ზუსტია, რაც გამონწვეულია დეკლამაციურობის სიჭარბით. სამაგიეროდ ზეპირი სიტყვა უფრო სასიამოვნოა მშრალ წერილობით სიტყვასთან შედარებით. თუ მჭევრმეტყველების ფორმობრივ და შინაარსობრივ მხარეს მივაქცევთ ყურადღებას, მისი განსაზღვრისას არისტოტელეს „რიტორიკაში“ შემდეგი მახასიათებლები გამოიყოფა (აღსანიშნავია, რომ თითოეული ეს მახასიათებელი უკლებლივ თავს იყრის ორატორულ ხელოვნებაში): სიცხადე, ლოგიკურობა, უწყვეტობა, პერიოდულობა, ემოციურობა, მხატვრულობა, დროის სწორად გამოყენება, მოულოდნელობის ეფექტი, კონტრასტულობა, ზომიერება (არისტოტელეს ფილოსოფიისა და მისი ეპოქის უზოგადესი კატეგორია). ამიტომაც არის რიტორიკის ერთ-ერთი მახასიათებელი კაზმული ფორმით სათქმელის გამოხატვა, რომელსაც აქვს გარკვეული მიზანი-მსმენელთა დარწმუნება. ამდენად, ის არსებითად განსხვავდება ყოველდღიური მეტყველებისგან, მით უფრო ფატიკური საუბრებისგან, რომელსაც ამ შემთხვევაში არ აქვს არანაირი მიზანი და საზრისი, არამედ წარმოადგენს სასხვათაშორისო საუბარს დროის გაყვანის მიზნით“. [არისტოტელე, რიტორიკა, 1981 გვ.19-23].

1.3 რომაული პერიოდი

ახ. წ. I ს. რომაული ლიტერატურის ოქროს ხანადაა ცნობილი. ამ საუკუნეში ძალიან ბევრი მწერალი და პოეტი მოღვაწეობს. ამ პერიოდში სიტყვის თავისუფლება შეიზღუდა (გაჩნდა ცენზურა), რაც უარყოფითად აისახა ლიტერატურაზე. ამ ყველაფრის შედეგად ორატორულმა ხელოვნებამ დაკარგა უწინდელი მნიშვნელობა. რომის იმპერიის ეპოქაში მას ჩაენაცვლა რიტორიკა, რომელიც მხოლოდ სასამართლოში გამოიყენებოდა. რომაულ ლიტერატურას მნიშვნელოვანი ადგილივ უკავია ანტიკურ ლიტერატურაში, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ზოგადი რიტორიკისა და ორატორული ხელოვნების ანტიკური ტრადიციის დასრულებული სახით ჩამოყალიბებას. მიუხედავად სიძველისა რომაული ლიტერატურა დღესაც მნიშვნელოვანია. რომაული ლიტერატურისა და ორატორული ხელოვნების უძველესი ძეგლები ძვ. წ. III საუკუნეს მიეკუთვნება, მან განიცადა ბერძნული ლიტერატურისა და რიტორიკის გავლენა, მაგრამ მიუხედავად ამისა გამოირჩევა ორიგინალურობით.

მხატვრული ლიტერატურა რომში წარმოიშვა შედარებით გვიან. რომი უკვე ჩამოყალიბებული ქალაქ-სახელმწიფო იყო, მაგრამ ლიტერატურა როგორც ასეთი, ჯერ კიდევ, ჩანასახოვან სატადიაზე იყო. ფართოდ გავრცელებული იყო რიტუალური და ფოლკლორული სახეობები, მაგრამ ლიტერატურა თანამედროვე გაგებით არ არსებობდა. ლიტერატურის განვითარების ასეთ სურათზე ალბათ იმან იმოქმედა, რომ ბერძნულ გავლენამდე, რომაელები განიცდიდნენ ეტრუსკული კულტურის გავლენას, ხოლო ეტრუსკებს უმეტესად რელიგიური დანიშნულების მწერლობა ჰქონდათ და არა მხატვრული ლიტერატურა.

აღსანიშნავია ძმები გაიუს და ტიბერიუს გრაკუსების მოღვაწეობა, რომლებიც იყვნენ არაჩვეულებრივი ორატორები, ორატორული ნიჭი მათ მამისგან ტიბერიუს სემპნიუს გრაკუსისაგან გამოჰყვათ, რომელიც სახალხო ტრიბუნა იყო, მისი შვილებიც ტრიბუნები გახდნენ და ისინი არამხოლოდ მგზნებარე სიტყვებით, არამედ შეუდარებელი

ბრძოლებით ემსახურებოდნენ რომაელებს. აგრეთვე ისინი ცნობილნი არიან, როგორც რეფორმატორები, რომლებმაც მათი რეფორმით სცადეს გადაეჭრათ კრიზისი, რაც შედეგად მოჰყვა რომის მსოფლიო სახელმწიფოს წარმოქმნას. ძმები გრაკუსები დაიღუპნენ სახალხო საქმისთვის თავგანწირულ ომში, თუმცა მთელ ეპოქას დაუტოვეს თავიანთი სიტყვის შთამბეჭდავი კვალი.

რომაული რიტორიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მარკუს ფაბიუსკვინტილიანემ, რომელიც იყო ბრწყინვალე ორატორი და კლასიკური რიტორიკის პედაგოგიც. მას ეკუთვნის წიგნი - „ორატორის მოძღვრება“, რომელიც ისწავლებოდა ანტიკური პერიოდის სკოლებში.

კლასიკური რომაული კულტურა და ორატორული მჭევრმეტყველების ისტორია ფაქტობრივად წარმოუდგენელია ციცერონის გარეშე. მარკუს ტულიუს ციცერონი რომში სწავლობდა რიტორიკას, რომაულ სამართალს, პოეზიას და ფილოსოფიას. ციცერონი გამოირჩეოდა ორატორული ნიჭით და მან ახალგაზრდობაშივე შექმნა და შემდგომში განავითარა საორატორო ხელოვნების საკუთარი თეორია. იულიუს კეისარი-უნიჭიერესი ორატორი და ციცერონის პოლიტიკური მოწინააღმდეგეც კი აღიარებდა ციცერონის სიტყვის იშვიათ მრავალფეროვნებას. ციცერონი იხილავდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მართლმეტყველებისა და მჭევრმეტყველების უერთიერთმიმართების პრობლემა, რაზედაც ის წერს: „...რაც შეეხება...ენის სინწინდეს და მკათიობას, ვფიქრობ, არავინ მოეღოს მათი აუცილებლობის დასაბუთებას. ჩვენ ხომ არ ვაპირებთ შევასწავლოთ ორატორული მეტყველება იმას, ვისაც საერთოდ არ იცის ლაპარაკი; და არც უნდა გვქონდეს იმის იმედი, რომ ის, ვინც არ იცის წმინდა ლათინური ენა, ილაპარაკებს მოხდენილად და უფრო ნაკლებად რასაკვირველია იმის იმედი, რომ ის ვისაც არ შეუძლია გასაგებად ლაპარაკი, ილაპარაკებს ისე, რომ აღტაცებას გამოიწვევს“.

[www.iep.utm.edu/Cicero/]

1.4 მეოცე საუკუნისა და თანამედროვე რიტორიკა

XX საუკუნის ხელოვნებამ და ფილოსოფიამ, შექმნეს წინაპირობა მივიწყებული რიტორიკული იდეების ხელახალი აღორძინებისათვის. ჯერ კიდევ, XVIII საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული, მთელი ასწლეულის განმავლობაში ორატორული ხელოვნება მონყვეტილი აღმოჩნდა პროფესიული მახასიათებლებისგან.

ახალი რიტორიკის განვითარების საწყისად კი მიიჩნევენ წინა საუკუნის 60-70-იან წლებს. თანამედროვე რიტორიკის მიზანი გახლავთ ის, რომ ადამიანს ასწავლოს საკუთარი აზრების გადმოცემის მართვა, ნებისმიერ საკომუნიკაციო ვითარებაში, აგრეთვე მსმენელის ყურამდე მისი გამონათქვამის გასაგები ენით მიწოდება.

ანტიკური პერიოდიდან დღემდე რიტორიკა არის „დარწმუნების ხელოვნება“. თანამედროვე რიტორიკა არის ორატორული ხელოვნების მეცნიერულად დაფუძნებული თეორიის პრაქტიკის ერთიანობა, რაშიც პიროვნება განიხილება როგორც იმ მასშტაბის განვითარების შემოქმედებითი ინიციატორი, რომელიც იმგვარად ახერხებს სხვა სუბიექტთან საერთო ენის გამონახვას, რომ წარმატებით აღწევს თვითდამკვიდრებას სოციალურ გარემოში.

როგორც ვიცით ოდითგანვე რიტორიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა დარწმუნების ხელოვნებას, ლოგიკურად დასაბუთებული მსჯელობისა და მხატვრულ-ემოციური მჭევრმეტყველების საფუძველზე, ამიტომაც აინტერესებდა ისეთი ტექსტები, რომლებიც აუდიტორიაზე მოახდენდა გავლენას.

აქედან გამომდინარე, ვასკვნით, რომ თანამედროვე რიტორიკა წარმოადგენს ახალ დისციპლინას, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს და აერთიანებს ჰუმანიტარულ მიმართულებათა მთელ წყებას. თანამედროვე რიტორიკა მოიცავს არა ხელოვნებას, არამედ სიტყვების რახარუხს. დღევანდელი სახელმწიფო მოხელეთა საჯარო გამოსვლა განმსჭვალულია სიტყვიერების ენით და არა იმ შემართებით რაც უნდა ახასიათებდეს პოლიტიკურ პირს საჯარო გამოსვლის დროს.

თავი მეორე

ორატორული ხელოვნება

მსმენელი მომეტებულ ყურადღებას იჩენს ყოველივე სილიადადმი და მასთან ერთად, იმისადმი, რაც უშუალოდ მათ ეხება პირადად, მათ მოსწონთ ყველაფერი რაც, გაკვირვებას და კმაყოფილებას იწვევს, ამიტომაც ორატორმა უნდა შეუქმნას შესაფერისი გუნება-განწყობილება

არისტოტელე

2.1. ორატორული ხელოვნების საგანი და ამოცანები

„საყოველთაო გაგებით, ორატორი იმ პიროვნებას ეწოდება, რომელიც საჯარო სიტყვას წარმოთქვამს. ესაა მომხსენებელი, ლექტორი, აგიტატორი, პროპაგანდისტი და ა.შ. ორატორულ ხელოვნებას ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში, ასურეთში თუ საბერძნეთსა და რომში ენიჭებოდა უდიდესი მნიშვნელობა. ორატორული ხელოვნების შემსწავლელ საგანს - „რიტორიკას“ იმდროინდელი განათლების სისტემაში ერთ-ერთ ძირითად სასწავლო დისციპლინად მიიჩნევდნენ. „რიტორიკა“ მჭევრმეტყველების თეორია იყო. იგი, ერთი მხრივ, ორატორული ხელოვნების თეორიული საკითხების შესწავლას ისახავდა მიზნად, მეორე მხრივ, მჭევრმეტყველების სწავლების წესებისა და მეთოდური ხერხების კრებულს წარმოადგენდა. ძველ საბერძნეთში მჭევრმეტყველების მასწავლებლის

პროფესიაც კი არსებობდა. მჭევრმეტყველების მასწავლებელს რიტორი ერქვა. ძველი ბერძნული მჭევრმეტყველების მიღწევები შეისწავლა და თეორიული საფუძვლები შექმნა ორატორული ხელოვნების უდიდესმა მკვლევარმა და მოაზროვნემ არისტოტელემ (ძვ. წ.ა 384-322 წწ.) მან დაახლოებით 330 წელს შექმნა მჭევრმეტყველების პირველი ნაშრომი „რიტორიკა“, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ასრულებდა გზამკვლევისა და სამაგიდო წიგნის დანიშნულებას“. [ჯაგოდნიშვილი, თბილისი 2000, გვ:6].

„XVI-XVII საუკუნეებში განსაკუთრებული ინტენსივობით ვითარდება საპარლამენტო, სადღესასწაულო და სამოსამართლეო მჭევრმეტყველება. რიტორიკა, როგორც სასწავლო საგანი, უკვე ყველა მნიშვნელოვან საგანმანათლებლო ცენტრში შეისწავლება. ორატორული ხელოვნება თანამედროვე მსოფლიოს საგანმანათლებლო სისტემის ყურადღების ცენტრშიც არის მოქცეული. იგი, როგორც ცალკე საგანი, ამერიკის შეერთებული შტატების თითქმის ყველა უნივერსიტეტში ისწავლება. და არა მარტო უნივერსიტეტებში“. [ჯაგოდნიშვილი, თბილისი 2000, გვ:10].

ორატორული ხელოვნებისადმი ასეთი დიდი ინტერესი იმით არის განპირობებული, რომ იგი თავისი მნიშვნელობით გატოლებულია მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებთან და ადამიანის განათლებისა და ინტელექტის განმსაზღვრელ ცოდნად მოიაზრება.

ორატორული ხელოვნების ამოცანებში შედის ისეთი პრაქტიკული საკითხების სწავლება, როგორცაა:

- საჯარო სიტყვის თემისა და მიზნის განსაზღვრა;
- საჯარო სიტყვის კომპოზიციისა და გეგმის შედგენა;
- არგუმენტებისა და მტკიცებათა გამოყენების ოსტატობა;
- კამათის ხელოვნება. [ჯაგოდნიშვილი, თბილისი 2000, გვ:14].

2.2. ორატორული ხელოვნებისა და ზოგადი რიტორიკის ძირითადი თავისებურებანი

ზოგადი რიტორიკის საგანი

ზოგადი რიტორიკა, შეისწავლის და იკვლევს, სხვადასხვა სასაუბრო სიტუაციებში, მეტყველებასთან დაკავშირებული ქცევის უზოგადეს კანონზომიერებებს, ამასთანავე იძლევა პრაქტიკულ, რეკომენდაციებს, აუდიტორიასთან სიტყვით გამომსვლელის ეფექტური კავშირ-ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით. იმისათვის, რომ აზრი ნათლად გამოითქვას, ხოლო ნათქვამი სწორად გავიაროთ, საჭიროა მათი მნიშვნელობის განსაზღვრება. აზრი, ესაა გარკვეული იდეა, რომელიც ყალიბდება ცნობიერებაში, როგორც რაღაც მოვლენა ან მატერიალურ და სულიერ მოვლენათა კავშირის გამოხატულება.

გამოიყოფა შემდეგი სახის რიტორიკები: პოლიტიკური, დიპლომატიური, აკადემიური, იურიდიულ-სამართლებრივი, სამედიცინო, სამხედრო, ყოველდღიურ-საყოფაცხოვრებო, სავაჭრო-სასაქონლო, იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული, სალექციო-სააუდიტორიო, საეკლესიო-საღვთისმეტყველო და ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული. [ფორჩხიძე, ქუთაისი 2018, გვ:11]

„ზოგადი რიტორიკის ძირითადი კანონებიდან გამოარჩევენ რამდენიმე მათგანს: ორატორთა და მსმენელთა ჰარმონიული დიალოგის კანონი; ორატორული ტექსტის სტრუქტურაში უმთავრეს საგანზე ორიენტაციის კანონი; მსმენელთა დადებითი ფსიქოლოგიური განწყობის შექმნის კანონი; ორატორის მიერ მსმენელთა ეჭვის გაქარწყლებისა და ნდობის მოპოვების კანონი; მსმენელთა ემოციური აღგზნებადობის რაციონალური რეგულირებისა და მართვის კანონი. კანონების შესაბამისად ღვინდება ორატორული ტექსტების შემდეგი ფუნქციონალური ტიპები: 1. ურთიერთობის გაბმისა და

დამყარების თავდაპირველი ფუნქცია პირველი კანონის მიხედვით; 2. ინფორმირებისა და ახალი ცოდნის გადაცემის რეჟიმშიწარმოებული ფუნქცია, მეორე კანონის შესაბამისად; 3. განცდად-ემოციური მდგომარეობის სტაბილიზაციისაკენ მიმართული ფსიქო-სოციალური ფუნქცია, აპრობირებული მეთოდოლოგიის გამოყენებით, მესამე კანონის გათვალისწინებით; 4. ლოგიკური არგუმენტაციის გზით მიღწეული დამარწმუნებელ-დამაჯერებლური ეფექტის ფუნქცია, მეოთხე კანონის თანახმად; 5. ემოციური აღგზნებადობის მიზანდასახულ, სასურველ კალაპოტში მოქცევის ფუნქცია მართვად-რეგულირებადი მექანიზმების მოშველიებით, მეხუთე კანონის ძალით. ამათ გარდა, ძირითად ფუნქციებს განეკუთვნებააგრეთვე: ტექსტის სტრუქტურული ალაგება, სიტყვიერი მასალის გამომუშავება და კონცენტრაცია, დახსომება-შენახვის მიზნით ტექსტის ძირითადი ბირთვის ეტაპობრივი განმეორება და ბოლოს ეფექტური ფრაზების წარმოთქმა სათქმელის დედაარსის მკაფიო გამოხატვის მიზნით. კლასიკური რიტორიკული წესის თანახმად: იმისათვის, რომ სიტყვა იყოს მშვენიერი, ორატორი უნდა ფლობდეს ჭეშმარიტებას იმის შესახებ, რაზეც ლაპარაკობს...“[ფორჩხიძე, ქუთაისი 2018, გვ:14]

„რიტორიკის მეცნიერების საგანი, აზრთა გაზიარების იდეის თანმიმდევრულ, სიტყვიერ ფორმაში გამოხატულ, გამიზნულ საქმიანობასა და საინფორმაციო კავშირგაბმულობის ურთიერთშეცვლადი პროცესის შესახებ მოძღვრებას წარმოადგენს“.[ფორჩხიძე, ქუთაისი 2018, გვ:14]

რიტორიკისთვის სრულიად საკმარისია, ისეთი მჭევრმეტყველება და აზრის საჯაროდ გამოთქმა, რომელიც მსმენელისთვის იქნება შთამბეჭდავი, დამაჯერებელი და მისაღები.

2.3. ზოგადი რიტორიკის ოთხი კანონი

იმისათვის, რომ ორატორმა მსმენელთაგან უკუკავშირი მიიღოს, აუცილებელია, სიტყვათწარმოების ყველა რიტორიკული პარამეტრი შეესაბამებოდეს დასახულ მიზანს. ამ ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება ზოგადი რიტორიკის ოთხი კანონი.

პირველი კანონის თანახმად - ორატორსა და მსმენელს შორის უნდა მიმდინარეობდეს ჰარმონიული დიალოგი, რაც ითვალისწინებს არსებული თემატიკის მიმართ მსმენელთა გათვინობიერებას და დაინტერესებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე, საერთო ღირებულებათა ორიენტაციას, გაგებას, მისაწვდომობას, საკითხთა კონკრეტულობას და სიცხადეს. სიტყვით გამოსვლა უნდა წარმოებდეს დიალოგის ფორმატში, რაც, რა თქმა უნდა, იმას კი არ ნიშნავს, რომ გამომსვლელი და მსმენელი ერთმანეთს მუდმივად თავინთ აზრებს უცლიდნენ, არამედ ეს გულისხმობს ორმხრივ უშუალო განცდა-მგრძობელობის ურთიერთშეხამებას, ემოციურ დატვირთულობას და სულიერ ერთიანობას.

მნიშვნელოვანია, ორატორმა გაითვალისწინოს, პუბლიკის შესახებ, მნიშვნელოვანი ფაქტები, როგორცაა მათი ინტერესები, ბპრობლემები, მისწრაფება-გატაცებანი, მტკივნეული ადგილები, ფსიქოლოგიური განწყობილება, რასაც შეუძლია ორატორის მიერ დასახულ მიზანზე მეტად პოზიტიური გავლენის მოხდენა. ორატორმა უნდა შეარჩიოს და განსაზღვროს მსმენელთათვის ახლობელი და ამაღელვებელი მტკივნეული თემები; ასეთი ახლობელი და განსაკუთრებული შეიძლება იყოს, არა მხოლოდ საკუთრივ თემა, როგორც ასეთი, არამედ თუნდაც საკითხთან მიდგომის ფორმა, ხედვის კუთხე, ორიენტირი, ასევე სხვადასხვა კერძო სახის ასპექტი. ამასთანავე, მან უნდა შეარჩიოს უტყუარი, სანიმუშო მტკიცებულებანი და აუდიტორიისათვის პატივსაცემი, რადგან ამის გარეშე ორატორი არ იქნება სასურველი და მისაღები მსმენელისთვის. თუ ორატორი

კარგად ახერხებს საინტერესო მასალის გადაცემას, მაშინ ის ზოგიერთ ისეთ რამესაც შეაპარებს მსმენელს, რომელიც მათთვის არც თუ მნიშვნელოვანი და საინტერესოა, მაგრამ ორატორს ეს მაინც სჭირდება საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად, ან რაღაც, ფარული მიზნის განსახორციელებლად.

„ორატორი უნდა ეცადოს მაქსიმალურად კონკრეტულად და თვალნათლივ ჩამოაყალიბოს აზრი, რისთვისაც მან უნდა მიმართოს მხატვრულ სახეებს, სანიმუშო ფაქტებს, ილუსტრაციებს, კოლორიტულ შედარებებს, მოდელებსა და ანალოგიებს - რომელთა გარეშეც ფონს ვერ გავა თვით ყველაზე მკაცრად აკადემიური სამეცნიერო ლექსია. სიტყვაკაზმულობა და თვალსაზიერება ტექსტს აქცევს თეატრალურ წარმოდგენად, რომელიც თავისი ზემოქმედების სიძლიერით, მოსმენილ ამბავს გარდაქმნის სანახაობრივ შთაბეჭდილებად, რომლის მეშვეობით ორატორთა და მსმენელთა ურთიერთკავშირი იმდენად ცხოველმყოფელი და დინამიურია, რომ ძალიან მარტივად და ბუნებრივად ხდება საკითხთა კონკრეტული და აბსტრაქტული დონეების ურთიერთშერწყმა“.[ფორჩხიძე, ქუთაისი 2018, გვ.27]

მეორე კანონი - ტექსტის სტრუქტურაში კონკრეტულ მისამართზე ორიენტირება - რაც გულისხმობს სათქმელის ნაწილებად დაყოფას, რომელიც აადვილებს შინაარსობრივი და ფორმალური მასალის აღქმისა და სიტუაციური რეგულირების პროცესს. ძალზე საყურადღებოა აგრეთვე, სიტყვით გამოსვლის სტრუქტურული ნაწილების გამოყოფა განსაკუთრებული ფრაზებით, ინტონაციებით და უესტებით, რათა მთქმელმა ზუსტად გათვალოს დარჩენილი სათქმელის შესაბამისი ძალ-ღონის სათანადო რესურსი. ხშირ შემთხვევაში მიზანშეწონილია, ორატორმა გამოსვლა დაასრულოს გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ამას ელოდება მსმენელი, რადგანაც სიტყვის შემოკლება ითვლება გარკვეულ ორატორულ ღირსებად.

მესამე კანონი - სათქმელს უნდა ჰქონდეს ემოციური შეფერილობა, რაც გამოიხატება ზეპირსიტყვიერი გამოსვლების დროს, მსმენელთა აქტიური ყურადღების მიპყრობის მიზნით, უმოკლესი ხერხის მოძიებაში.

მეოთხე კანონი - მსმენელთა დადებითი ფსიქოლოგიური განწყობის შექმნა, რომელიც ორატორის მიმართ სასიამოვნო დამოკიდებულებით განისაზღვრება. აუდიტორიისადმი მომღიმარე ორატორს უფრო მეტად უჯერებენ და უწვევენ ანგარიშს, ვიდრე მოქუფრულსა და გაღიზიანებულს. მართალია, კეთილგანწყობა და სასიამოვნო შთაბეჭდილების მოხდენა ფრიად მისასალმებელი ორატორული თვისებაა, თუმცა ეს ზოგჯერ უკუეფექტის მომტანია ისეთ ვითარებაში, როცა მსმენელთა შორის აზრი პრინციპულად გაყოფილია და მშვიდობიანი კომპრომისის მიღწევა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში ორატორი ნაკლებად უნდა ცდილობდეს ასიამოვნოს თავისი პოზიციის მოწინააღმდეგეებს, მთავარია მან იმდენად მოიგოს საკუთარი მომხრეების გული, რომ შეუქმნას მათ ფსიქოლოგიური და მორალური უპირატესობის განცდა, დამატარებელი არგუმენტებით და საბრძოლო სულისკვეთების ოპტიმისტური პათოსის გამოხატულებით.

ზოგადი რიტორიკის ჩამოთვლილი ოთხი კანონიდან, პირველი - ჰარმონიული დიალოგის კანონი, ორატორსა და მსმენელს შორის - გვევლინება უმთავრესად, ხოლო სამი დანარჩენი კი, წარმოადგენს მისი გამოვლინებისა და რეალიზაციის ფორმებს.

ორატორის გამოსვლის მიზანდასახულობა საჭიროებს წარმოთქმული სიტყვისადმი მოლოდინის გათვალისწინებას, არა მარტო პირდაპირი და უშუალო, არამედ არა უშუალო, ირიბი მსმენელისგან, ისევე, როგორც შესაბამისი დონისა და რიგის აუდიტორიის სავარაუდო რეაქციის გათვალისწინებასაც.

2.4. ძირითადი რიტორიკული კანონი

„როცა დაინტერესებული პირი დააპირებს გაინათოს ორატორულ ხელოვნებაში, მას მართებს განსაკუთრებული გულისყურით მოეკიდოს ზოგადი რიტორიკის წესებისა და მეთოდების ისტორიულად ჩამოყალიბებულ გამოცდილებას, რასაც არისტოტელე რიტორიკის კანონის სახელწოდებით მოიხსენიებდა. აღნიშნული კანონის მიხედვით, ზეპირმეტყველების სამუშაო განრიგი მოიცავს შემდეგი სახის წესებს:

1. ტექსტის შინაარსის გამოგონება; 2. გამოგონებული სიტყვის მასალის დალაგება; 3. სიტყვიერი გაფორმება; 4. დამახსოვრება; 5. წარმოთქმა“. [არისტოტელე., რიტორიკა, თბილისი., 1992]

უმეტეს შემთხვევაში, საპასუხისმგებლო სიტყვით გამოსვლისას, წინასწარ ემზადებიან ისე, რომ მხოლოდ რეპლიკებისთვის, ცალკეული საკითხებისთვის და პასუხებისთვის იტოვებენ ექსპრომტად რეაგირების უფლებას, თუმცა იშვიათ შემთხვევაში, არსებობენ ვირტუოზი ორატორებიც, რომლებიც კონსპექტის, წინასწარ დაზეპირებული ფრაზებისა და საკვანძო თეზისებისა და ციტატების მონიშვნის გარეშეც, ახერხებენ მსმენელთა მოხიბვლასა და გაოცებას. მსხვილი სახელმწიფო მოხელის, სამხედრო მეთაურის, ან პარლამენტის თავმჯდომარის არასწორი მოხსენების ფასი საკმაოდ ძვირია, რომელიმე სასკოლო საგნის, თუნდაც ისტორიის მასწავლებლის გაკვეთილისგან განსხვავებით, არა მხოლოდ აზრობრივი, არამედ საგნის სტილისტური სიმძიმის მიხედვით, რომ მსგავსი პრეცედენტი არაერთხელ გამხდარა, საჯარო დაცინვისა და სერიოზული სკანდალის

საფუძველი. ამიტომაც სავალდებულოა მივყვეთ შემდეგ აქსიომას, რომ პოლიტიკურ იურიდიულ, ბიზნესისა და მსხვილ მასშტაბიან საქმიან შეხვედრებზე, სადაც მრავალი ადამიანის ბედ-იღბალი განისაზღვრება, არ არსებობს არავითარი წვრილმანი და ამიტომ თავგამოდებული შრომა და საპასუხისმგებლო გამოსვლისათვის საგანგებოდ მომზადება, ნამდვილად არ ჩაითვლება ზედმეტად არავისთვის.

მესამე თავი

სიტყვის ხელოვნების ფუნქციური არსი

3.1. მჭევრმეტყველება და მისი მნიშვნელობა

„კაცობრიობის ისტორიაში ცოცხალი სიტყვა, ორატორული მეტყველება ყოველთვის უდიდეს როლს ასრულებდა. ორატორის მგზნებარე სიტყვა მოქმედებს ადამიანთა გონებასა და გრძნობებზე, აღაფრთოვანებს და წააქეზებს მათ დიადი საქმისთვის. ორატორული გამოსვლა ყოველთვის პოლიტიკური ბრძოლის უმნიშვნელოვანესი იარაღია. ისტორიის სხვადასხვა ეპოქაში გამოჩენილი ორატორები ხშირად პოლიტიკური ბელადებიც იყვნენ.“

სიტყვა რომ მართლაც მებრძოლი იარაღი იყოს და არა ფრაზების ჟღარუნა ასხმა, ორატორმა მკაცრი ანგარიში უნდა გაუწიოს სიტყვის შინაგან, აზრობრივ, შემდეგ კი სტილისტურ წყობას.

სიტყვის აზრობრივი წყობის ძირითადი საწყისია მისი მიზანსწრაფულობა. ორატორს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს იმაზე, რაზედაც ლაპარაკობს, რის მიღწევაც სურს თავისი სიტყვით, რის თქმაც უნდა თავისი მსმენელისათვის. ორატორი თავის სიტყვაში დარწმუნებული და გულწრფელი უნდა იყოს და გადასცემდეს მსმენელთ არა მარტო თავის აზრებსა და მიზანდასახულობებს, არამედ თავის გრძნობებსა და სულიერ განწყობილებასაც. სიტყვა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს სასარგებლოდ და საჭიროდ, როდესაც ორატორი გადასცემს თავის მსმენელს ახალ აზრს, ახალ გრძნობებს, ახალ სულიერ განწყობილებას და წააქეზებს მას ახალი მოქმედებისაკენ.

საკითხის კარგად ცოდნა, მასალის სიუხვე და სხვა, სრულიადაც არ არის საკმარისი, რათა აზრი და სიტყვა მსმენელთათვის ნათელი გახდეს. სხარტად და მოხდენილად ნათქვამ სიტყვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს და ის აუდიტორიას ანდამატივით იზიდავს. პირიქით, ცუდად ულაზათოდ ნათქვამი, თუნდაც შინაარსიანი სიტყვა აუდიტორიაზე არავითარ გავლენას არ ახდენს. ასეთი სიტყვის დამთავრებას მსმენელი მოუთმენლად ელის.

ძველი სამყაროს ორატორები სრულიადაც არ ფიქრობდნენ, რომ სიტყვის ნიჭი დაბადებიდანვე ყოველი ადამიანის კუთვნილებაა. პირიქით, როდესაც ისინი ამბობდნენ, შეიძლება ორატორად გახდომი, გულისხმობდნენ, რომ არათუ შეიძლება, არამედ საჭიროა ყოველმა კაცმა იცოდეს კარგად ლაპარაკი“. [დ.ენუქიძე, 1958, გვ.5]

დანერილთან შედარებით ბევრად მეტი ეფექტი აქვს ზეპირსიტყვას, მაგრამ კარგად წარმოთქმულს. იგი შეუდარებლად უფრო დიდ გავლენას ახდენს მსმენელზე. ცნობილი საზოგადო მოღვაწე ა.ფ. კონი სამართლიანად აღნიშნავდა: „სიტყვა ადამიანის ერთ-ერთი იარაღია. თავისთავად უძლური, - სიტყვა მძლავრი და მოუგერიებელია მოხდენილად, გულწრფელად და თავის დროზე ნათქვამი“. [დ.ენუქიძე, 1958]

ორატორული ხელოვნება განვითარდა ჯერ საბერძნეთში, სადაც პირველი ადგილი დამსახურებულად ეკუთვნოდა დემოსთენეს. ცნობილია, რომ საბერძნეთიდან, რომელიც განთქმული იყო ხელოვნების სხვადასხვა დარგის აყვავებით, ყველაფერი ეს, მათ შორის ორატორული ხელოვნებაც, გადავიდა ძველ რომში, სადაც მან თავისი სიდიადით გადააჭარბა საბერძნეთსაც.

განსაცვიფრებელ მაგალითს თუ რა შეუძლია ადამიანის შრომას, დაჟინებას და ხასიათს ორატორად გახდომის საქმეში, იძლევა დემოსთენე. უძლურმა, მკერდსუსტმა, ენაჩლექიამ, სუსტხმიანმა და მხარში მოკრუნჩხულმა, მან მრავალი წარუმატებლობისა და დაცინვის შემდეგ, ხანგრძლივი, დაჟინებით ვარჯიშის გზით მაინც მიაღწია იმას, რომ გახდა ყველა დროის უდიდესი ორატორი. რვა წლის განმავლობაში მუშაობდა იგი თავისთავზე, ავითარებდა და სრულყოფდა თავის სიტყვას, იმაგრებდა მკერდს, ფილტვებსა და ხმას, ცდილობდა გადაჩვეოდა მხარის კრუნჩხვას; მოიპარსა თავი, ხოლო იმისათვის, რომ ქალაქში არ დაბრუნებულიყო, გაიხიზნა გამოქვაბულში, ჩაიდო პირში ქვა, დაიკიდა მხრის პირდაპირ ხმალი და ისე წარმოთქვამდა სიტყვას; იგი ხშირად მიმართავდა დეკლამაციას

აზვირთებული ზღვის პირას, რათა თავისი ხმა გადაეწვდინა ტალღებზე, და სხვა. ბოლოს, სწავლების უკანასკნელ სტადიაზე, მან მიიღო მსახიობ სატირუსის მითითება დეკლამაციის შესახებ, მალე გაუსწრო თავის მოწინააღმდეგებსა და უკვე ტოლი აღარ ჰყავდა. მისი სიტყვები გაოცებას იწვევდა სისადავით, ბუნებრიობით, დამაჯერებლობით, წარმოითქმოდა შესანიშნავი ოსტატობით, გამოირჩეოდა მჭევრმეტყველებითა და გრძნობით. ცნობილია, რომ ყველა დავასა და კამათში, სასამართლო და პოლიტიკურ გამოსვლებში ის იმარჯვებდა საუკეთესო ორატორებზე.

ადამიანები ტემპერამენტიანაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ერთი ორატორი უფრო ცოცხალი, შთაბეჭდილებიანი, მოძრავია, ჩქარა აღფრთოვანდება, თუმცა არა ხანგრძლივად და არა მტკიცედ; მეორე - უმოძრაო, უფრო დინჯია, იშვიათად აღფრთოვანდება, მაგრამ ფლობს დიდ ნებისყოფას, მეტ სიმტკიცეს; მესამე - გულჩათხრობილი, ეჭვიანი, უნდობია; მეოთხე - უსიცოცხლო, ნელი და მანტია. ასე რომ, სიტყვის მჭევრმეტყველება დიდად არის დამოკიდებული თვით ორატორის პიროვნებაზე, მის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობაზე.

სიტყვა უნდა იყოს არა მარტო შინაარსიანი, არამედ უაღრესად ნათელი. ამის მიღწევა შეიძლება სიტყვის სიმარტივით, მისი სისადავით, უცხო სიტყვებისა და სპეციალური მეცნიერული ტერმინების ხმარებისაგან თავის შეკავებით. ენის სისადავე სრულიადაც არ ნიშნავს მის სიღარიბეს და ერთფეროვნებას. უცხო სიტყვები და სპეციალური ტერმინები უნდა იხმარებოდეს, მაგრამ იქ სადაც ეს აუცილებელია და სადაც უამისოდ ფრაზის სწორად გაგება შეუძლებელია. უცხო სიტყვის ან სპეციალური მეცნიერული ტერმინის უადგილოდ ხმარება დაბალი კულტურისა და უცოდინარობის მაჩვენებელია. ნამდვილად კულტურული და მცოდნე ორატორი ყოველთვის მოძებნის შესაფერ სიტყვას თავის მშობლიურ ენაში, ვოლტერი სამართლიანად და სწორად შენიშნავს: „უცხო ენა შეიძლება აითვისო ნახევარ წელს, შენი კი უნდა ისწავლო მთელი სიცოცხლის მანძილზე“ [დ.ენუქიძე, 1958, გვ. 23]

თუ ორატორი კარგადაა დაუფლებული მშობლიურ ენას, თუ იცნობს ლიტერატურას, მისი სიტყვა მიმზიდველი და ქმედითი იქნება. ენისა და სტილის დაუფლებისთვის ასევე ცოდნის გაღრმავებისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურის კითხვას, ყოველი ახალწაკითხული წიგნი, გაამდიდრებს ორატორს ახალი ცოდნით.

გამოჩენილი ენათმეცნიერი ნ.ი მარი ასე ახასიათებდა ქართულ ენას: „ქართველების კულტურულ საუნჯეში მოიპოვება ერთი ძვირფასი სპეკალი, რომელიც მართო, თავისთავად, მეცნიერებაში ანიჭებს მათ უპირველეს ადგილთაგანს. მე ვამბობ უდიდეს განძზე ქართველობის არსებისა - ქართულ ენაზე. ქართული ენით გამოითქმება ყველაფერი, რის გამოთქმაც შეიძლება დედამიწის რომელიც გნებავთ ენით. არცერთ ენაზე რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში არ მოიპოვება აზრი, რომელიც ქართულმა ენამ სრულყოფილად ვერ გამოხატოს და მხატვრული ფორმით ვერ წარმოგვისახოს. ქართული ენა განსაკუთრებით ცოცხალი ქართული ენა მაღალმხატვრულად წარმოსახავს ყოველ აზრს. ქართული ენა იმდენად მდიდარია, რომ თავისი შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო მნიშვნელობის ენას წარმოადგენს“. [ნ.მარი, ქართული ენა. ლექცია, წაკითხული 1913 წ. - დ.ენუქიძე, 1958, გვ.25]

ორატორმა ჩინებულად უნდა იცოდეს მშობლიური ენა. ენის საკითხი წვრილმანი როდია. ტყუილად ხომარ ამბობდა გრიგოლ ორბელიანი: „რა ენა წახდეს ერის დაეცესო“.

„იღია ჭავჭავაძემ ოთხჯერ გადაწერა, და არა უბრალოდ, არამედ გაასწორა, თავისი „ოთარაანთ ქვრივი“ და მხოლოდ ამის შემდეგ სცნო შესაძლებლად მისი დაბეჭდვა. თუ სიტყვის ღიდი ოსტატები ასე ბევრს მუშაობდნენ სიტყვის სიზუსტეზე, ჩვეულებრივმა ორატორმა უფრო მეტი უნდა გააკეთოს“.[დ.ენუქიძე, 1958, გვ.26]

3.2. ორატორული ხელოვნების ქართული ტერმინოლოგიისათვის

საქართველოში, რომ ორატორული ხელოვნებას შორეული ფესვები აქვს ამაზე ტერმინოლოგიის სიუხვეც მიუთითებს. ქართული მწერლობა, ზეპირსიტყვიერება თუ ცოცხალი სასაუბრო ენა ამ მხრივ მრავალფეროვან და საინტერესო მასალას გვანვდის.

უძველეს წერილობით ძეგლებში ზეპირმეტყველების აღმნიშვნელ ტერმინად გვხვდება ქადაგება.

ქადაგება - სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით „მაღალი ხმით სწავლებას“ ნიშნავს. ის პირი, ვინც ქადაგებს, არის ქადაგი, ანუ მქადაგებელი. სულხან-საბას განმარტებით, ქადაგი არის „მაღალ მძახებელი სწავლისა, ხოლო მქადაგებელი - „ქადაგების მეტყველია“. [ჯაგოდნიშვილი, ქართული ორატორული ხელოვნება, გვ.15] აშკარაა, რომ სულხან-საბასთან ქადაგებას ორი მნიშვნელობა აქვს. ერთია - საჯარო ზეპირი სიტყვით სწავლება, მეორეა - ზეპირად საჯაროდ წარმოსათქმელი ნაწარმოები. ე.ი. ტერმინი ქადაგება პროცესსაც აღნიშნავს და საგანსაც. ქადაგი და მქადაგებელი კი სინონიმური, ერთი მნიშვნელობის ცნებებია და საჯაროდ გამომსვლელს, მასწავლებელს, ზეპირი სიტყვის მოქმელს ნიშნავს.

ქართველებს ქადაგების მსგავსი სხვა ტერმინებიც მოგვეპოვება. ესაა სწავლა და მოძღვრება. ტერმინი მოძღვრება სიტყვა მოძღვარიდან მომდინარეობს. მოძღვარი ძველ ქართულში მასწავლებელს, ოსტატს აღნიშნავდა. ხოლო მოძღვრება ზეპირი სიტყვით სწავლებასაც გულისხმობდა.

ჩვენში საკმაოდ იყო გავრცელებული ტერმინები „რიტორი“ და „რიტორება/“რიტორობა“. ეს ტერმინები ჩვენში ბიზანტიიდან შემოვიდა და XIX საუკუნის შუახანებამდე საყოველთაოდ იყო გავრცელებული.

ჩვენს დროში ფართოდ გავრცელდა ლათინური წარმოშობის ტერმინი „ორატორი“. იგი სიტყვასიტყვით საჯაროდ მოლაპარაკეს ნიშნავს. იგი შინაარსობრივად მჭევრმეტყველს, ზეპირად მოლაპარაკეს უტოლდება.

ნათელია, რომ ქართულ წერილობით ძეგლებში ორატორული ხელოვნების არაერთი ტერმინია დაფიქსირებული. ისიც ნათელია, რომ ამ ტერმინთაგან დიდზე დიდი ნაწილი ორიგინალურია, ქართული. თუმცა უცხოური წარმომავლობის ტერმინებიც გაგვაჩნია. ეს ყველაფერი კი ერთის მხრივ, ქართული მჭევრმეტყველების უმდიდრეს ტრადიციებზე მეტყველებს, ხოლო მეორე მხრივ, ქართული რიტორიკული აზრის მსოფლიო დონეზე მყოფობას ნათელყოფს; იმაზე მიუთითებს, რომ მჭევრმეტყველება უხსოვარი დროიდან ჩვენი სულიერი კულტურის ერთ გამოვლენას წარმოადგენდა.

ქართულ ხალხურ მჭევრმეტყველებას უდავოდ უნდა მიეკუთვნოს გალექსება-გაშირება, სასუფრო და სამგლოვიარო მჭევრმეტყველება. მჭევრმეტყველების საოცარი ნიმუშია თავად სადღეგრძელო. სადღეგრძელოს, იმპროვიზებული ბუნების მიუხედავად, ტრადიციით შეპირობებული თემატურ-შინაარსობრივი „ჩარჩო“ გააჩნია. სადღეგრძელო გარკვეული სავალდებულო თემატური მუხლებისა თუ მონაკვეთების მიხედვით აიგება. ამ მუხლებისა თუ მონაკვეთების სიტყვიერი ხორცშესხმა კი უკვე მთლიანად მისი წარმომთქმელის მჭევრმეტყველურ უნარს წარმოაჩენს. ამიტომ მუხლებსა თუ მონაკვეთებს ერთგვარი მზა მხატვრული ფორმულების იერი აქვს.

3.3. ქართული ორატორული ხელოვნების დარგები

ქართული მჭევრმეტყველება სამქადაგებლო, სადარბაზო (დიპლომატიურ), სამხედრო, სამოსამართლო, სადღესასწაული (საზეიმო) და სამგლოვიარო დარგებად იყოფა.

სამქადაგებლო მჭევრმეტყველება - ისეთი ზეპირი სიტყვაკაზმული მეთყველებაა, რომელიც დარიგებას, დამოძღვრას, შეგონებას ისახავს მიზნად. ეს დარგი ყველაზე ადრინდელი უნდა იყოს. მისი სათავეები შორეულ წარსულში, ისტორიამდელ პერიოდში იძებნება და ფოლკლორული პერიოდის მჭევრმეტყველებას მიეკუთვნება.

ამ დარგის ასპარეზს უფრო სარწმუნოების სფერო წარმოადგენდა. იგი რაიმე სარწმუნოებრივი მოძღვრების, დოგმის ხალხში გავრცელება-განმტკიცებას ისახავდა მიზნად. შესრულების გარემოც უმთავრესად რელიგიური იყო.

სადარბაზო დიპლომატიური - მოლაპარაკება-გარიგებას, დავის გადაწყვეტას, მნიშვნელოვანი შეთანხმების მიღწევას მოიცავს. მისი მიზანი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, ეკომონიკური თუ სხვა პრობლემათა დიალოგით, მოლაპარაკებითა შეთანხმებით გადაწყვეტაა.

ამდენად სადარბაზო მჭევრმეტყველებას დიდზე დიდი საზოგადოებრივი ღირებულება აქვს კაცობრიულ ცხოვრებაში. მისი სფერო ძალზე ვრცელია, რადგან მას არა მარტო ერთი ქვეყნის შიგნით აქვს საზოგადოებრივი ყოფის მარეგულირებელი ფუნქცია, არამედ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაშიც. რაც უფრო დიდია ცივილიზაციის დონე, მით უფრო ემედითაა სადარბაზო მჭევრმეტყველების დონე.

სადარბაზო მჭევრმეტყველება სხვა დარგებისგან იმითაც განსხვავდება, რომ აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ სათქმელის განსაკუთრებულ, სპეციფიკურ სიტყვიერ სამოსელში მოქცევას ენიჭება. ეს სამოსელი უკიდურესად გააზრებული, ანონილ-დანონილი და დახვეწილი უნდა იყოს. სათქმელი ისე უნდა იყოს მოწოდებული, რომ ერთდროულად ყველაფერიც უნდა იყოს თქმული და არც არაფერი. ეს კი მაღალი დონის მჭევრმეტყველების გარეშე შეუძლებელია. სწორედ ამ სფეროში ჩანს განსაკუთრებული სიყბადით სიტყვის ძალა. სიტყვას შეუძლია არა მარტო ერთი ადამიანის ბედი გადაწყვიტოს, არამედ ხალხისაც.

სამხედრო მჭევრმეტყველება - ტრადიციულად მოწოდების, გამხნეება-წაქეზების შინაარსის კაზმულსიტყვაობას ეწოდება. მისი გავრცელების არე შედარებით ვიწრო და კონკრეტული იყო, რადგან უმთავრესად საომარი მოქმედების დაწყებამდე ლაშქრისადმი მიმართვის ფუნქცია ჰქონდა. საისტორიო თუ სხვა წერილობით წყაროებში შემონახული სამხედრო მჭევრმეტყველების ნიმუშები ასეთი მიმართვების ხასიათს ატარებს.

ისტორიამ შემოგვინახა დავით აღმაშენებლის მიმართვა ჯარისადმი, დიდგორის ბრძოლის წინ, რომელმაც გამარჯვებაზე უდიდესი გავლენა იქონია: „ ეჰა, მეომარნო ქრისტესნო“ თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ, და ერთ რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ესაა, რომ ჩვენ ყველამ ხელთა ცისადმი აპყრობით ძლიერ ღმერთს აღთქმა მივეცით, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე უმაღლ მოვკვდებით, ვიდრე გავიქცევით და რომ არ შეგვეძლოს გაქცევა, რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლით შევსულვართ, ხეთარ ხშირ ხერგებით შეგვრათ და მტკიცე გულით, მტერბს, როცა მოგვიახლოვდებიან ჩვენზე იერიშის მოსატანად, დაუნდობლად შეუტოთ“. ამით უშიშარმა მეფემ წყნარად, უშფოთველად და ბრძნულად განაწყო სჰა ისე, რომ არა მარტო გამარჯვებაზე იბრუნა, არამედ თავის მცირერიცხოვან მხედრობასაც გაუფრთხილდა.[<http://4motivi.com>]

სამხედრო მჭევრმეტყველება სადღეისოდ კაზმულსიტყვაობის ვრცელი და უანრობრივად მრავალფეროვანი დარგია.

სამოსამართლეო მჭევრმეტყველება - სფერო იმთავითვე სამართლის წარმოება იყო. მისი რაგვარობაც უპირატესად პაექრობით განისაზღვრებოდა. მჭევრსიტყვას კონფლიქტის, სადავო საკითხის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად გადაწყვეტის ფუნქცია ეკისრებოდა. მჭევრმეტყველების სპეციფიკური ბუნება უძველეს ხანაშივე გამოიკვეთა, რადგან სამართლის წარმოებას ფუნქცია საერთოდ ადამიანური საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურებზედვე ჰქონდა. ამასთან სამართლის წარმოების ტრადიციებიც იმთავითვე იყო გამოკვეთილი. მკაცრი შინაარსობრივი განსაზღვრულობის მიუხედავად, ჭეშმარიტების დადგენაში მჭევრმეტყველების ძალა განსაკუთრებული სიხადით სწორედ ამ სფეროში ვლინდება.

სადღესასწაულო მჭევრმეტყველება - როგორც სახელწოდებაც მიგვითითებს, საზეიმო, ხოტბითი ხასიათის კაზმულსიტყვაობაა. სადღესასწაულო მჭევრმეტყველების მიზანია განსაკუთრებული მოვლენის მნიშვნელობის აღნიშვნა-შეფასება, მისი ღირსსახსოვრობის შთაგონება. მისთვის დამახასიათებელია ზეანეული ტონალობა, ღირსებათა წინა პლანზე წამოწევა, მოვლენების ისტორიული დროისა და საზოგადოებრივი ყოფის კანონზომიერებათა სიბრტყეებზე დაყენება და მის შესაბამისობაში განჭვრეტა. სადღესასწაულო მჭევრმეტყველება თემატური მრავალფეროვნებით ხასიათდება.

სამგლოვიარო მჭევრმეტყველება - დარგებს შორის წარმომავლობის სიძველითა და შესრულების თავისებური რიტუალური ფონით გამოირჩევა. თავისი არსით სამგლოვიარო მჭევრმეტყველება სახოტბო ხასიათის ზეპირი მხატვრული სიტყვიერებაა.

ის მიზნად ადამიანის დაკარგვით გამოწვეული ტრაგიზმის გააზრებას ისახავს. ტრაგიზმის შეგრძნება ადამიანის ზნეობრივ სრულყოფას იწვევს, რადგან დანაკარგის სიმწვავე ცხოვრების ამაოებას განსაკუთრებით ცხადყოფს. ეს კი ადამიანში სინანულისა და უკეთესად გახდომის სურვილს ბადებს ანუ სულიერ კათარსის უწყობს ხელს.

3.4. მეტყველების კულტურა

იმისათვის, რომ სიტყვა გასაგები იყოს, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს სიტყვის სისწორეს, ან როგორც ამბობენ, მეტყველების კულტურას. სიტყვას მოაქვს იდეა, სიტყვით გადმოიცემა აზრი. შეუძლებელია აზრი მკაფიოდ და დამაჯერებლად იქნას გადმოცემული, თუ თვითონ სიტყვა არასრულფასოვანია. სიტყვის კულტურა - ესაა აზრის სწორად და გასაგებად გამოხატვა. ამიტომ სიტყვა იმდენად დამაჯერებელი უნდა იყოს, რამდენადაც ღრმად აზრი, რომლის გადმოცემაც გვსურს.

საჯარო გამოსვლის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენადაა დაუფლებული ორატორი ენას, რამდენად იცის მან ზეპირი სიტყვის თავისებურებანი.

რა მკოდნე და მჭევრმეტყველიც არუნდა იყოს ორატორი , გამოსვლისათვის მაინც აუცილებლად საჭიროა, მომზადება, რაც გულისხმობს სიტყვის მომზადებასაც და პირად მომზადებასაც, ანუ გამოსვლისათვის განწყობას, დამატებითი მასალების მომზადებას იმ შემთხვევისთვის, თუ პოლემიკა დაიწყოს და თვით პოლემიკისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

სიტყვის მომზადება - სიტყვა, როგორც წესი წინასწარ უნდა მომზადდეს, თუმცა ხანდახან მას ასეთი მომზადების გარეშეც წარმოთქვამენ, ესეიგი იმპროვიზაციას მიმართავენ. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში , თუ ორატორი საფუძვლიანად იცნობს საგანს, რომელზედაც საუბრობს.

მომზადება შედგება ორი ნაწილისაგან: საერთო მომზადება და კონკრეტულად, მომავალი გამოსვლისათვის მომზადება. ორატორი სისტემურად უნდა მუშაობდეს თავის თავზე, მიუხედავად იმისა თუ როგორი ნიჭისა და ერუდიციის პატრონია იგი. ძველ სამყაროში ორატორების მომზადებას იწყებდნენ სიყრმიდანვე (ამის მაგალითია კვინტილიანი). ციცერონი გაუნათლებელი ორატორის სიტყვას თვლიდა „სასაცლოდ, ცარიელ ლაყობად“.[დ.ენუქიძე, 1958, გვ.46]

განათლებისა და მჭევრმეტყველების უნარის მიუხედავად, თითოეული ორატორი, რომელიც ცდილობს სათანადო წარმატებას მიაღწიოს, ვალდებულია ემზადებოდეს ყოველი სიტყვისათვის. ეს მოსაზრება გამოიხატება საკითხის გასაზრებით, კონსპექტის ან მთელი სიტყვის დაწერით და სიტყვის სავარაუდო ზეპირი წარმოთქმით. დემოსთენე მაგალითად არასდროს არ თანხმდებოდა გასულიყო ტრიბუნაზე, თუ მას იწვევდნენ მოულოდნელად. „კალამი საუკეთესო მასწავლებელია დაწერილი სიტყვა უკეთესია მხოლოდ მოთქმულ სიტყვაზე“ ამბობდა ციცერონი. [დ.ენუქიძე, 1958, გვ.46]

მიუღებელია ორატორის მხრიდან აუდიტორიის დაღლა წიგნებიდან და ჟურნალებიდან ამონაწერების კითხვით. წიგნზე მითითება უნდა იყოს მოკლე, სჯობს აზრის ზეპირად გადაცემა. წაკითხული უნდა იქნას მხოლოდ ის ადგილი, რომელიც უტყუარ საბუთად

გამოდგება, რათა შეწყდეს დავა, გაითვანტოს ეჭვი, ან გადაჭრით უკუგდებულ იქნას მონინალმდევის აზრი.

არსებობენ ორატორებიც, რომლებიც არწმუნებენ აუდიტორიას, როგორც ბრწყინვალე მჭევრმეტყველების გამოუყენებლად, ისე მეცნიერებაზე მიუთითებლად. ჩვეულებრივ აუდიტორიაში ასეთ ორატორს ხშირად დიდი წარმატება აქვს. საღი მოსაზრებანი და ყოველდღიური ცხოვრების მკაფიო ფაქტებზე მითითება, - აი მთელი მისი იარაღი. ნიჭი, რომელსაც ჩვენ ვუნოდებთ საღ აზრს, სამწუხაროდ ვარჯიშით არ მოიპოვება, მაგრამ საკმაოდ ძვირფასია. განსაკუთრებით კარგად ვლინდება ეს მაშინ, როდესაც აუდიტორია დაღლილია წინა ორატორების მოსმენით. ნათელი აზრის პატრონი ორატორი ხშირად მიმართავს ქარაგმებს, იგავ-არაკებს, ზღაპრებს, იუმორს, რაც ყველასთვის გასაგებია. ამიტომ სიამოვნებით უსმენენ.

ორატორს გამოსვლა უხდება სხვადასხვა აუდიტორიის წინაშე. ერთია ორგანიზებული მასის - მუშათა, კოლმეურნეობათა, სტუდენტთა ან ჯარისკაცთა წინაშე გამოსვლა და სულ სხვაა არაორგანიზებული მასის, ე.ი სხვადასხვა პროფესიის, განათლების, ასაკის, სქესის ადამიანთა წინაშე გამოსვლა. ამიტომ ორატორი ვალდებულია გაითვალისწინოს, თუ როგორია აუდიტორია, რათა მისი ყოფაქცევა და სიტყვა შეესაბამებოდეს აუდიტორიას, მის დონესა და სურვილებს. კიდევ უკეთესია, თუ ორატორი წინასწარ შეძლებს დაახლოებით მაინც გაიგოს მსმენელთა შემადგენლობა, გონებრივი დონე, მათი საარსებო ინტერესები. ზოგჯერ გამოცდილი ორატორი გადაავლებს თუ არა თვალს აუდიტორიას, სწრაფად მიხვდება, ვისთან აქვს საქმე. ორატორს, რომელიც გამოდის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საკითხებზე, უფრო ხშირად საქმე აქვს შერეულ აუდიტორიასთან. კარგი და გამოცდილი ორატორი შეეცდება ისე ილაპარაკოს, რომ მისი სიტყვა გასაგები იყოს დაბალი ცოდნის მსმენელთათვის და მოსაწყენი არ იყოს განათლებული ადამიანისათვის, როგორც ამას არაბული ანდაზა ამბობს: „დანერე ისე, რომ მცოდნეებმა შეგაქონ, უცოდინრებმა კი გაიგონო“.

ორატორს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ რაც უფრო სადად გამოთქვამს თავის აზრს, მით უფრო ახლოა მისი გზა მსმენელის გონებისა და გულისაკან. ცნობილია რომ გრძელი ფრაზა მსმენელისაგან მოითხოვს ზედმეტ დაძაბულ ყურადღებას, რაც მას ღლის.

ამასთან ერთად გრძელ წინადადებებში ხშირად გვხვდება შეცლომები სიტყვების დალაგებისას, ამან კი შესაძლებელია სიცხადის მაგიერ ბუნდოვნება გამოიწვიოს. ორატორს შეუძლია გამოიყენოს გრძელი ფრაზა, მაგრამ მხოლოდ საკმაოდ კვალიფიციურ აუდიტორიაში.

სიტყვა რომ ნათელი და მიმზიდველი იყოს, საჭიროა მასში ეპითეტების, მხატვრული განმარტებების, შედარებებისა და მეტაფორების გამოყენება. სიტყვას აცხოველებს რიტორიკული კითხვა, ე.ი ისეთი კითხვა, რომელსაც იძლევა ორატორი, მაგრამ რომელზედაც ის არ მოითხოვს პასუხს. შეკითხვითი ინტონაცია აძლიერებს სიტყვის გაგებას, მის ემოციურ ათვისებას მსმენელთა მიერ.

საკმაოდ მკათიო ხერხს ორატორის მეტყველებაში წარმოადგენს ანტითეზა, რომლის გამოყენებით აზრი იგებს, როგორც სიძლიერის, ისე გამოხატულების მხრივ. ანტითეზა არის საწინააღმდეგო აზრებისა და გამოთქმების ერთმანეთისადმი მკვეთრად დაპირისპირება.

სიტყვას მიმზიდველს ხდის აფორიზმები, ე.ი. აზრების მოკლე, ნათელი და სხარტი ფორმულირებანი. სიტყვაში გამოყენებულ უნდა იქნას პარადოქსებიც - იგივე აფორიზმები, სავეებით მოულოდნელად გამოთქმული.

სიტყვა დასაბუთებული უნდა იყოს არა მარტო ლოგიკურად, არამედ ემოციურადაც. ეპითეტები, შედარებანი, სახეები და სხვა - ყველაფერი ეს გამთბარი უნდა იყოს გრძნობით, სათანადო ასოციაციას უნდა იწვევდეს მსმენელში. თვით ლაპარაკის მანერაც დამაჯერებელი უნდა იყოს. ორატორს გამომუშავებული უნდა ჰქონდეს ლაპარაკის აუჩქარებელი, მტკიცე, მაგრამ არამბრძანებლური, არ ქედმაღლური მანერა. ორატორის დაჯერებულობა მსმენელსაც გადაედება, მაგრამ, გარდა დაჯერებულობისა, სიტყვის ძვირფასი თვისებაა მისი სიწრფე. ორატორი უნდა ცდილობდეს, რომ მსმენელს მისი სიტყვა ესმოდეს; ცუდია, როდესაც აუდიტორიიდან ისმის შეძახილები „არ ისმის“!

ხშირია შემთხვევა, როდესაც მაღალი ხმის პატრონი ორატორი ბევრს კარგავს ზედმეტი სიჩქარის გამო. ძალიან ჩქარა ლაპარაკი ცუდად ისმის და მსმენელებში არასასიამოვნო შეგრძნებას იწვევს. სიჩქარე ორატორის დიდი ნაკლია. მაგრამ ისეთი ნელი ტემპით

ლაპარაკიც, დიდი პაუზების კეთება, შესვენება, როდესაც მსმენელისთვის უკვე ძნელი ხდება ერთი დებულების დაკავშირება მეორესთან, დაუშვებელია. სიტყვა რიტმული უნდ იყოს. სწორედ რიტმულობაა სახელგანთქმული ორატორების უდიდესი წარმატების ერთ-ერთი მიზეზი. სიტყვა კარგავს თავის დამაჯერებლობას, თუ ორატორი არათანმიმდევრულია. თანმიმდევრულობას სიტყვაში შეაქვს სიცხადე. თანმიმდევრულობა მოიცავს აგრეთვე მასალის თანაზომიერად განაწილებას. თანაზომიერად აგებული სიტყვა, რომელშიც მეტი ყურადღება დათმობილი აქვს მთავარს, საუკეთესო სიტყვაა დამაჯერებლობის თვალსაზრისით.

ციცერონი და დემოსთენე თავიანთ სიტყვებს წერდნენ, მაგრამ წარმოთქვამდნენ ზეპირად. სიტყვა იწერება არა იმიტომ, რომ შემდეგ ის წაკითხულ იქნას, არამედ იმიტომ, რომ საკითხი ყოველმხრივ გაშუქდეს. სიტყვა უნდა იყოს ცოცხალი, თავისუფლად და ზეპირად ნათქვამი, მაგრამ ეს არუნდა იყოს დაზეპირებული წარმოთქმა.

კუდია, როდესაც ორატორი თავისი სიტყვის ნაწილს ამბობს ზეპირად, ხოლო ნაწილს კითხულობს დანერვილის მიხედვით. ასეთი სიტყვა არადამაჯერებელი და ხშირად უაზროცაა. რა თქმა უნდა, კითხვა თუ ამოკითხვა დასაშვებია, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს სრულიად შეუმჩნევლად. ორატორი ვალდებულია ყოველთვის თვალში შესცქეროდეს აუდიტორიას, ანგარიშს უწევდეს მის განწყობილებას და ამის შესაბამისად გამოხატავდეს თავის აზრს ამა თუ იმ ფორმით, ხან აფართოებდეს და დეტალიზებას ახდენდეს, ხან ამოკლებდეს, ხან აუდიტორიისათვის ძნელად გასაგებ ადგილებში მოჰყავდეს მაგალითები და შედარებები.

თემის მომზადებისას პირველ რიგში გარკვეული უნდა იქნას საკუთარი თვალსაზრისი. თუ ორატორს ცხადად არა აქვს გამოხატული და შემუშავებული თვალსაზრისი, სჯობს მან არაფერი თქვას, რადგან ასეთ ვითარებაში სიტყვის წარმოთქმა ძვირფას დროს დააკარგვინებდა მსმენელს და სიამოვნებას ვერ მოჰგვრიდა თვით ლექტორსაც.

სიტყვის გეგმის ან კონსპექტის შედგენის წინ აუცილებელია საკითხზე მასალის შეკრება. პირველ რიგში უნდა შეგროვდეს ფაქტები, რომლებიც საკმაოდ დაადასტურებენ ორატორის აზრებსა და დებულებებს. ლიტონი სიტყვები და მაღალი ფრაზები საჭირო

არაა. ორატორისთვის მასალაა საკუთარი ცოდნისა და ცხოვრების გამოცდილების მარაგი, რომელიც გულისხმობს არა მარტო მეხსიერების გამოყენებას, არამედ წიგნების. უმთავრესად საცნობარო ლიტერატურის, გაზეთებისა და სხვა ამონაწერების მომარჯვებასაც.

დამწყები ორატორისთვის სასარგებლოა, რომ სიტყვაში განავითაროს ერთი აზრი. მთელ რიგ საკითხებზე მოფიქრებულად გამოსვლა დიდ ერუდიციას მოითხოვს. ამასთან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ სიტყვით გამოსვლა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა საკითხი ბოლომდეა მოფიქრებული. ცუდი არ იქნება ცნობილი ორატორების მოსმენა, ხოლო თუ ამის საშუალება არ არის, მაშინ საჭიროა მათი სიტყვების წაკითხვა.

მთელი გამოსვლის ბედი ხშირად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ უჭირავს თავი მსმენელების წინაშე ორატორს, რათა მისმა ყოფაქცევამ კი არ შეაფერხოს სიტყვის წარმატება, არამედ ხელი შეუწყოს მას. ორატორი ისე, როგორც ყოველი საზოგადო მოღვაწე, დაუფლებული უნდა იყოს ტაქტს, ე.ი. შეეძლოს უცბად აირჩიოს ყველაზე უფრო სწორი და მოკლე გზა მიზნისაკენ დროის, აუდიტორიისა და და სხვა პირობების გათვალისწინებით. კერძოდ ეს ტაქტი უნდა შეიცავდეს იმის ცოდნას, რომ გაითვალისწინოს გამოსვლის მომენტი, გაუგოს აუდიტორიასა და ილაპარაკოს მისი ენით, შეინარჩუნოს აუდიტორიის ყურადღება, არ დაღალლოს აუდიტორია, არ თქვას ის რისი თქმაც არ სურს.

ორატორისთვის მნიშვნელოვანია ხმა, ესაა ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობით მას თავისი იდეა და აზრი მიაქვს მსმენელებთან. ასევე დიდმნიშვნელოვანია დიქცია, ე.ი. ხმოვანი და თანხმოვანი ბგერების გამოთქმა, უშუალოდ დაკავშირებულია სიტყვის გამოთქმასთან. უესტი და მიმიკა, ისე როგორც ხმა, ორატორის მძლავრი საშუალებაა. ძველი ბერძნები დემოსთენემდე გაურბოდნენ უესტების ხმარებას. პერიკლე ლაპარაკობდა მშვიდად, იცავდა ღიად პოზას და მხოლოდ იშვიათად ასწევდა ხელს ასეთივე მშვიდი უესტისათვის. საორატორო უესტს მოეთხოვება: ბუნებრიობა და სისადავე, აზრისა და განწყობილებისადმი შესაბამისობა, სიტყვის რიტმისადმი შესაბამისობა. რაც შეეხება მიმიკას, ის გადაცემის მძლავრი საშუალებაა და არა მხოლოდ სიტყვის დამატება;

ის ხელს უწყობს სიტყვის უკეთესად შეთვისებას. ცოდნასა, ნიჭსა და უნართან ერთად, ორატორისათვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა როდი აქვს გამბედაობასა და დამოუკიდებლად თავის დაჭერას.

ორატორული ხელოვნების დაუფლება შეიძლება. ორატორი უნდა იყოს ძლიერი არა სიტყვით, არამედ საბუთებით. ორატორის საღი აზრი მისი სწორი და ბასრი იარაღია. ორატორი უნდა ლაპარაკობდეს აუჩქარებლად, მაგრამ არ უნდა ღლიდეს მსმენელებს თავისი სიზანტით. საჭიროა ყოველი სიტყვის და კერძოდ, მისი გარეგანი მხარის მომზადება.

ორატორული ხელოვნება გულისხმობს ზოგად, საკმაოდ ხანგრძლივ წინასწარ მომზადებას, შემდეგ კი ხანმოკლე სპეციალურ მომზადებას ყოველი გამოსვლის წინ. დამწყებ ორატორებს ვურჩევთ სარკის წინ ვარჯიშს, მხნეობა ორატორმა უნდა მოიპოვოს კარგი, სერიოზული მომზადებით. ორატორს უნდა ახსოვდეს, რომ ნამდვილი ნიჭი მრავალსიტყვაობით როდი გამოიხატება. ზედმეტი მრავალსიტყვაობა ვნებს მჭევრმეტყველებას.

მეოთხე თავი

საჯარო გამოსვლა

საჯარო გამოსვლის დაგეგმვისა და მომზადების პროცესის თავისებურებები

საჯარო გამოსვლის დროს მთვარია ადამიანის ვერბალურ და არავერბალურ ქმედებათა ერთიანობა. მათი კომუნიკაციის ელემენტები შეიძლება ცვლიან ან ავსებენ ერთმანეთს. ამ ურთიერთობათა რამდენიმე ვარიანტი არსებობს. კომუნიკაციის ვერბალურ და არავერბალურ ასპექტთა შემდეგ შესაბამისობებს ვხვდებით:

- 1) არავერბალური კომუნიკაცია შეიძლება ავსებდეს ვერბალურ კომუნიკაციას. მაგალითად, თუ ჩვენ ვიღიმებით და ვამბობთ: სალამი, როგორაა საქმეები? მაშინ ეს ორი მოქმედება ღიმილი და მისალმება ერთმანეთს ავსებს. მეტყველება უფრო გასაგებია, თუკი მას თან ახლავს უხესტები.
- 2) არავერბალური ქცევები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ვერბალურ შეტყობინებებს. თუ თვალებში არ უცქერთ მოსაუბრეს და ეუბნებით, რომ სასიამოვნოა მასთან საუბარი, მაშინ ასეთი ვერბალური მოქმედება ეწინააღმდეგება თქვენს პოზიტიურ ვერბალურ შეტყობინებას. თუ ამბობთ რომ გიხარიათ ვინმეს ნახვა და თან იჭმუხნებით, ლაპარაკობთ ცივად და მშრალად, თქვენი მოსაუბრე ალბათ დაეჭვდება თქვენს გულწრფელობაში.
- 3) არავერბალური ქცევები შეიძლება ცვლიდნენ ვერბალურ შეტყობინებებს: ბავშვმა შეიძლება მიგვითითოს სათამაშოზე ნაცვლად იმისა, რომ თქვას: ეს სათამაშო მინდა. ეს ნიშნავს, იმას რომ არავერბალურმა ქცევამ შეიძლება ჩაანაცვლოს ვერბალური ქცევა. თქვენ შეგიძლიათ ხმაურიან აუდიტორიაში უხესტით აჩვენოთ ახლობელს, რომ გინდათ გამოვიდეს და დაგელაპარაკოთ.
- 4) არავერბალური ქცევები ვერბალური კომუნიკაციის მარეგულირებელი ელემენტი შეიძლება იყოს: საუბრისას ხშირად გამოიყენება უხესტები, პოზის

ცვლილება, შეხება. მაგალითად: თავის დაქნევის გამოხატვის, ინტონაციის მიხედვით შეიძლება მივხვდეთ, რომ საუბარში მონაწილეობის ჩვენი რიგი დადგა.

არავერბალური ქმედება შესაძლებელია იმეორებდეს ვერბალურ შეტყობინებას: თხოვნა ხმადაბლა ისაუბრონ და საჩვენებელი თითის ტუჩებთან მიტანა. ადამიანები არავერბალურ ურთიერთობებს მიმართავენ იმისათვის, რომ ზუსტად და გასაგებად გადმოსცენ თავიანთი აზრები, გრძნობები და ემოციები. ასე რომ არავერბალური კომუნიკაცია მრავალგანზომილებიანი, მრავალფეროვანი, ვერბალურის პარალელური პროცესია, რომელიც ძირითადად ქვეცნობიერად მიმდინარეობს.

ამრიგად, კომუნიკაციაში არავერბალური საშუალებების გამოყენება სპონტანურად ხდება. ეს გამოწვეულია, როგორც ცენტრალური ნერვული სისტემის დაბალი მაჩვენებლებით, ასევე უმაღლესი მაჩვენებლებით, რომლებიც პასუხს აგებენ კომუნიკაციაზე. რა თქმა უნდა, რაღაც ხარისხში არავერბალური ელემენტები კონტროლს ექვემდებარება, მაგრამ ძალიან ძლიერი თვითკონტროლის შემთხვევაშიც კი შეიძლება მოხდეს ინფორმაციის „გაჟონვა“.

ურთიერთქმედება რომ წარმატებული იყოს, მოსაუბრე უნდა განაწყო ინფორმაციის სწორად აღქმაზე, აღუძრა მას ინტერესი საუბრის თემის მიმართ, ჩამოუყალიბო შეტყობინების აღქმის მზაობა. ამისათვის კი აუცილებელია ადამიანის ყურადღების მართვის ხერხების ფლობა. რა თქმა უნდა, ადამიანის ყურადღების მიპყრობის ყველაზე კარგი ხერხია საუბრის დაწყება იმ თემაზე, რომელიც მას აღელვებს. მაგრამ, ამასთანავე, აუცილებელია შესაბამისი ფორმის შერჩევა. რაიმეს თქმა შეიძლება ემოციური ან გულგრილი ტონით; გასაგებია, რომ განსხვავებული იქნება ზემოქმედებაც მსმენელზე.

შეტყობინების მიწოდების ძირითადი საშუალებაა ხმა. ადამიანის ხმა ის ადგილია, სადაც თავმოყრილია მისი ცნობიერი და არაცნობიერი. მსმენელისათვის ზოგჯერ უფრო მნიშვნელოვანია არა ის, რასაც ვამბობთ, არამედ ის, თუ როგორ ვაკეთებთ ამას.

- „ნიეტრალური ფრაზის“ ხერხი. ინიციატორი მოსაუბრესთან კომუნიკაციას იწყებს ფრაზით, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება ამ მოსაუბრისათვის საინტერესო თემას, მაგრამ მას ეხება.
- მოსაუბრის ყურადღების მიპყრობის ყველაზე მარტივი ხერხია ხმის აწევა. რა თქმა უნდა, არა ყვირილამდე: ეს დაუშვებელია არა მარტო მორალური თვალსაზრისით, არამედ ტაქტიკურადაც, ვინაიდან ნებისმიერ შემთხვევაში ადამიანის ყვირილი სისუსტისა და უძლეობის აშკარა ნიშანია.
- „შეტყუების“ - ხერხი. საუბრის დასაწყისში ინიციატორის პირველი ფრაზა ძნელად აღსაქმელია - ვთქვათ, ნათქვამია ძალიან ჩუმად. ამიტომ მოსაუბრეს ამ ფრაზის გასაგებად გარკვეული ძალისხმევა სჭირდება, რაც ყურადღების კონცენტრაციას მოითხოვს.
- ყურადღების ფოკუსირების კარგი ხერხია მხედველობითი კონტაქტის დამყარება მოლაპარაკესა და მსმენელს შორის. ამ ეფექტურ ხერხს ბევრი იყენებს: გადაათვალიერებს აუდიტორიას, თვალთ აფიქსირებს აუდიტორიაში მსხდარ რამდენიმე ადამიანს. მხედველობითი კონტაქტის დამყარების ხერხი ფართოდ გამოიყენება ნებისმიერი სახის ურთიერთობაში.
- „აქცენტის გამახვილების“ ხერხი გამოიყენება მაშინ, როცა აუცილებელია მოსაუბრის ყურადღების გამახვილება ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებზე. ამ ხერხის რეალიზება შეიძლება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით.
- „პაუზის დროული გამოყენების“ ხერხი ამზადებს პარტნიორს, ამახვილებს მის ყურადღებას აზრზე და იძლევა ნათქვამის მნიშვნელობის შფასების საშუალებას.
- „ფორმულირების შეცვლის“ ხერხი ყურადღების შენარჩუნებისა და გემოქმედების გაძლიერების კარგი ხერხია. უკვე ნათქვამ აზრს ინიციატორი აყალიბებს სხვაგვარად, ახალი სიტყვების, ფრაზების გამოყენებით.
- „პროვოკაციის“ ხერხი. ხანმოკლე დროით მოსაუბრეს უჩნდება მიწოდებული ინფორმაციის უარყოფის რეაქცია და შესაბამისად, ამ ინფორმაციის დაზუსტების, შესწორების სურვილი.

არსებობს მეტყველების წერიტი და გეპირი სახეები. წერიტი მეტყველება სტრუქტურულად ყველაზე გაშლილია. მას არ ახლავს არავერბალური საშუალებები:

ინტონაცია, ჰაუზები, შესატყვისი უესტიკულაცია. იგი ნაკლებად არის სიტუაციაზე დამოკიდებული და ამიტომ მოითხოვს აზრის მთლიანად გაშლას. ზეპირი მეტყველება სარგებლობს არავერბალური საშუალებებით. იგი დამოკიდებულია კონტექსტზე და სიტუაციაზე.

მეხუთე თავი

აუდიტორია

5.1. აუდიტორიის მართვისა და გაძლიერების ტექნოლოგიები

ნებისმიერ ორატორს უმეტეს შემთხვევაში, როგორც წესი, უწევს გადალლილ აუდიტორიასთან შეხვედრა. შეხვედრის ორგანიზატორები ამას მუდამ ითვალისწინებენ და ამიტომაც, კამათისთვის დროს, ოთხ-ხუთ წუთზე მეტს არ გამოყოფენ, ვინაიდან ორატორთა გამოსვლებით დაქანცულ აუდიტორიას მეტის ატანა არ შეუძლია. ასეთ ვითარებაში, ვინც მოახერხებს, კამათის მიწურულს, თქვას რაღაც მნიშვნელოვანი რამ, წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით, მისი ნათქვამი ყოველი სიტყვა მიწვდება გადალლილობისგან დაუძღურებულ ყურთასმენას, რითაც ფაქტიურად, ის მოახდენს, ყოველივე იმის განზოგადებასა და შეჯამებას, რაც უკვე თქვეს მისმა წინაგამომსვლელმა თანამოაზრეებმა; თუ ამას კიდევ თან ერთვის ხმის ტემბრის გაძლიერებაც და შესაფერისი დამაჯერებლობით გამოხატული პათოსი, თემის კონკრეტულ და ძირითად, საკვანძო დებულებებთან ერთად, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ წარმატება მას განაღდებული აქვს. რაც უფრო შეამცირებს თავის ოთხნუთიან რეგლამენტს და ნაკლებ დროში მოაქცევს თავის სათქმელს, ეფექტი მით უფრო ძლიერი და შთამბეჭდავი იქნება. ყველაზე უფრო ხელსაყრელი ადგილი, ამ მეთოდის გამოსაყენებლად, არის მიტინგი, სადაც ლაკონურობას განსაკუთრებული ფასი ადევს. კვლევები ცხადყოფენ, რომ თითოეული ორატორისთვის რეალური მოსმენის მაქსიმალური ხანგრძლივობა სამი წუთია, ამიტომ არსებობს რეკომენდაცია, რომ სწორედ ამ სამ წუთიან მონაკვეთში, ყველაზე უმთავრეს ფრაზას, მოვანდომოთ ათი-თხუთმეტი წამი და ამით დავამთავროთ, თუ გვსურს სასურველი შთაბეჭდილების მოხდენა პუბლიკაზე. მართალია, მსგავსი

რეკომენდაციები უსათუოდ ანგარიშგასაწევია, თუმცა პრობლემისა და თემატიკის სპეციფიკის მიხედვით, მისი აბსოლუტიზაცია არამართებულია, ვინაიდან არსებობს ისეთი პრობლემები, რომელთა მიმართ გაცხოველებული ყურადღებაა მიჰყრობილი მთელ დამსწრე საზოგადოებაში და მსმენელთა ინტერესებში შედის თანმიმდევრული, მრავალმხრივი და სრულყოფილი ანალიზი. მაგალითად, როცა ქვეყნის საჭირობოტო, პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური, მორალური და კულტურული პრობლემების გადაწყვეტა მოითხოვს საზოგადოების ერთსულოვნებას, სიფიზილის, ბრძოლისუნარიანობასა და სულიერ სიმტკიცეს, როცა წყდება ერის თვითმყოფადი, ისტორიული განვითარების ბედ-იღბალი და სხვა.

როდესაც, საჭიროებიდან გამომდინარე, ორატორი ოცდაათი წუთის განმავლობაში გამოდის საჯარო მოხსენებით, მას უხდება მთელი რიგი ხერხებისა და მანევრების გამოყენება, რათა დარბაზში მსხდომთა ყურადღება მიიჰყროს. გავეცნოთ რამდენიმე ასეთ ნაცად ფორმას და შესაბამის ვითარებაში მივმართოთ მას.

1. მასალის კონტრასტული გადმოცემა - გულისხმობს როგორც ცნობილი პიროვნების, ან ჯგუფისადმი, ასევე უცნობი, ანონიმური სუბიექტებისადმი ურთიერთშეხამებული მიმართვის ფორმას, აგრეთვე ძნელისა და მარტივის, სადაოსა და უეჭველის, აბსტრაქტულისა და კონკრეტულის, სერიოზულისა და სასაცილოს, მშფოთვარე და მშვიდი ტექსტების გამოყენებას. მოყვანილი ციფრები და ციტატები შეზავებულ უნდა იქნას მოკლე, გასაგები განმარტებებითა და კომენტარებით, კრიტიკას თან უნდა სდევდეს ქება და ნახალისება, იმის და მიხედვით, თუ რას იმსახურებს ესა თუ ის ობიექტი.

2. სათქმელის მოდულაცია - საუბრის ტემპის ცვალებადობაში აისახება, როცა ხმის სიძლიერე თანხმობაშია გამოთქმულ შინაარსთან. ფორმულირებანი, ტერმინები და სპეციფიკური განსაზღვრებანი უნდა გამოითქვას დინჯად, გარკვეულად და შთამბეჭდავად, ანდაზები და აფორიზმები კი მხიარულად, მგზნებარედ და მოხდენილად. ორატორთა უმეტესობა განსაკუთრებული ინტონაციით გამოყოფს ერთიმეორისგან ციფრებს, მაგალითებსა და ციტატებს.

3. აუდიტორიასთან უკუკავშირი - მსმენელები შესამჩნევად გადაერთვებიან რაიმე წვრილმანებზე, ან შეუდგებიან ჩანაწერების კეთებას, დაუყოვნებლივ უნდა გამოვიყენოთ წყვეტილი კომპონენტები: შინაარსის, სტილის, ან ვოკალური უღერადობის მიხედვით; ზოგჯერ ძალიან სასარგებლოა, ყურადღების მიპყრობა განსაზღვრული პაუზის მეშვეობით, იციან ხოლმე დემონსტრაციული ჩახველებაც, თუმცა ბევრის აზრით, ეს ფორმა, დიდ აუდიტორიებში მაინც, გამართლებული არ არის.

4. აზრობრივი კვანძები - ფართოდ გავრცელებულ მოხსენებებში იყენებენ ხუთ-შვიდწუთიან მონაკვეთებს, რაიმე კონკრეტული თემისის, ან მისი დასაბუთების სახით, როდესაც ვატყობთ, რომ მსმენელთა საშუალო კონტინგენტის ყურადღება, განუწყვეტლივ მიპყრობილია ერთი რომელიმე თემისადმი.

5. ე.წ. კიდის კანონის თვალყურის დევნება (ნებისმიერ საინფორმაციო ბლოკში უკეთ ამახსოვრდებათ დასაწყისი და განსაკუთრებით დასასრული) ანუ ყოველ საკვანძო თემისზე, მოხსენების ყოველ ნაწილზე და მთელი მოხსენების განმავლობაში. დასაწყისზე უფრო არსებითი და მნიშვნელოვანი, მაინც დასასრულია, რამდენადაც დამამთავრებელ ფაზაში ხორციელდება მთელი სათქმელის შემაჯამებელი შედეგების თავმოყრა, რისი ფსიქოლოგიური მოლოდინიც მუდამ არსებობს, მეტ-ნაკლებად საქმიან მსმენელთა აუდიტორიებში. ეს წესი ყველაზე მეტად ვრცელდება დებატებზე, სადაც ორატორები ცდილობენ უარყონ და დაძლიონ ოპონენტთა შეხედულებანი. ეს ყოველივე იწვევს ნეიტრალური მსმენელის გადაღლას, რომელიც შინაგანად ემუდარება მოკამათებს, რომ დაასრულონ დავა და ამის გამო, უნებურად მაღლიერებას გამოხატავენ იმის მიმართ, ვინც საბოლოო წერტილს გაუსვამს გაჭიანურებულ პოლემიკას, ამდენად მსმენელთა თანხმობისა და ნდობის ალაბთობა, ამ უკანასკნელის მიმართ, აშკარად მატულობს. ამიტომაც არაა შემთხვევითი, რომ მრავალ ენაში, „დასასრულისა“ და „მიზნის“ ცნებები ერთმანეთს ემთხვევა.

6. არგუმენტაციის გაღრმავება - რაც უფრო მწვავედება პოლემიკა, მით უფრო პრინციპული ხდება ორატორის მიერ დაცული თემისი, მით უფრო შეუვალია მოთხოვნა, არგუმენტაცია წარიმართოს არა ფართო მოცულობის მიმართულებით, არამედ სიღრმისეულად. მოცემულ შემთხვევაში არავითარი გამართლება არაქვს წვრილმან,

უსუსურ და იაფფასიანი ინტერესის მატრებელ დასკვნებს, რომელიც დროის დეფიციტის პირობებში, მხოლოდ ფორმალურად ასრულებს საპასუხო რეაქციის დანიშნულებას და მეტს არაფერს.

7. აუდიტორიის თავისებურებათა გათვალისწინება - რაც უფრო ახალგაზრდა, გამოუცდელი, ნაკლებ განათლებული და მრავალრიცხოვანია აუდიტორია, მით უფრო ადვილი უნდა იყოს მოხსენების ტექსტი, როგორც შინაარსით, ასევე სტრუქტურით და ფორმით.

5.2. საჯარო გამოსვლის ტექსტი

საჯარო ტექსტის შინაარსობრივ ელემენტთა სისტემა

ტექსტის აზრობრივ სტრუქტურაზე მუშაობისას გადამწყვეტი მომენტი ტექსტის გასაანალიზებელი მეთოდის შერჩევაა. ტექსტის აზრობრივი სტრუქტურის პრობლემა უნდა გადანყდეს მეტყველებისა და აზროვნების პროცესების ფსიქოლოგიური ურთიერთქმედების კონტექსტში. ტექსტის შინაარსის ადეკვატური აღქმა შეუძლებელია კომუნიკაციური ინტენციის გათვალისწინების გარეშე, ვინაიდან სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს ტექსტის შინაარსს.

ტექსტის ძირითად შინაარსს მოიცავს ტექსტის შინაარსობრივ ელემენტთა სისტემის შემდეგი კომპონენტები:

- ფაქტი - დროისა და სივრცის ორიენტირი;
- პრობლემა - შეუსაბამობა არსებულსა და სასურველს შორის;
- იდეა -რეალობის ავტორისეული „ხატი“;
- არგუმენტი - ავტორის პოზიციის დასაბუთება;
- საყრდენი დეტალი - ინფორმაციით გაჯერებული შტრიხი;
- რიტორიკული ფიგურა - ტექსტის უმთავრესი აზრი, ავტორისეული პოზიციის არსი;
- ქვეტექსტი - სტრიქონებს შორის დაფარული, ტექსტის მთავარი აზრი.

ფაქტები ან მათი ერთობლიობა ტექსტში წარმოადგენენ დროსა და სივრცეში მახლობელი, გარემომცველი სინამდვილის ჭეშმარიტ სურათს.

ტექსტის დამაჯერებლობის, მისი სარწმუნოების აუცილებელი მახასიათებელი მასში მოყვანილ დებულებათა, თეზისების, მოსაზრებათა და კონცეფციის არგუმენტირებულობაა, მათი დამაჯერებელი მტკიცებაა.

იდეის ქვეშ მოიაზრება სინამდვილის შეცნობის ერთ-ერთი ფორმა, ხერხი, რომლის აზრიც მდგომარეობს მოვლენის არსის გამხსნელი განმაზოგადებელი თეორიული პრინციპის ფორმულირებაში.

პრობლემა გამოხატავს სოციალურ წინააღმდეგობებს, შემეცნებულს სუბიექტების მიერ, როგორც არსებულსა და საჭიროს, სასურველსა და რეალურს, მოღვაწეობის მიზნებსა და შედეგებს შორის არსებულ მნიშვნელოვან შეუსაბამობას.

რიტორიკული შეკითხვა განსაკუთრებით გავრცელებული ფიგურაა. მას დამაჯერებლობა შეაქვს ტექსტში. ზოგჯერ საჯარო გამოსვლა მთლიანად დასაწყისში დასმული კითხვის პასუხს წარმოადგენს, კითხვისა, რომელშიც ავტორის პოზიციას, მისი დამოკიდებულება, ტენდენცია გამოსჭვივის.

საუკეთესო ქვეტექსტებს აქვთ ერთი მომხიბლავი თვისება: მათში მინიშნებული იდეა, აზრი, ზედაპირზე არ „ტივტივებს“, იგი ხშირად ქვეტექსტშია ნაგულისხმევი.

ქვეტექსტი, როგორც ცნობილია არ არის დამოუკიდებელი ელემენტი. იგი მთელის ნაწილია, ამდენად, მთელის სისტემაში, კონტექსტში აღიქმება სრულყოფილად და მხოლოდ კონტექსტში ხდება გასაგები მის არსში კოდირებული იდეა, მოსაზრება.

დეტალი, თავისი ლექსიკური მნიშვნელობით ყოველთვის მთელის ნაწილია. მთელი შეიძლება იყოს მთელი სამყარო, დეტალი კი - სამყაროს რაღაც ნაწილი. მაგრამ დეტალი არ არის ნებისმიერი ფარგმენტი მთელისა. იგი მთელის არსის გამხსნელი, მისთვის ყველაზე დამახასიათებელი ნაწილია., მთელის დანახვის, შეცნობის საშუალებაა. წვრილმანი რომელიც „მსხვილმანს“ განსაზღვრავს, უკვე არსებითი დეტალია.

სინამდვილის მოვლენების და ფაქტების პუბლიცისტური შეფასების შედეგად გამოიყო დეტალის რამდენიმე განსხვავებული სახე, რომლების ემსახურებიან ერთ საბოლოო მიზანს - სინამდვილის მოვლენებისა და ფაქტებისადმი გარკვეული იდეური

დამოკიდებულების ფორმირებას. ისინი ამ საბოლოო მიზნის განხორციელების გზაზე ასრულებენ რამდენადმე განსხვავებულ ფუნქციებს. ფუნქციის განსხვავებულობას განაპირობებს ობიექტური სინამდვილის ფაქტებისა და მოვლენების ტექსტში ტრანსფორმირების მეთოდთა განსხვავებულობა.

არსებობს დეტალის განსხვავებული სახეები:

- დეტალი -ფაქტი;
- დეტალი - არგუმენტი;
- დეტალი - სახე ან სახის ელემენტი;

დეტალის ერთ-ერთი სახეა დეტალი-ფაქტი. იგი მიიღება ობიექტური სინამდვილის ფაქტებისა და მოვლენების უშუალო შერჩევით, უცვლელად შემოტანით ტექსტში. ხშირად მათი ისეთი დაჯგუფებით /შეპირისპირებით/ იკვეთება ამა თუ იმ სოციალური მოვლენის არსი, ესა თუ ის იდეა, პრობლემა ან მოსაზრება.

